საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 3 მაისი. 2019 წ. №87 (8753) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სანამ ურეში ლაფში ამობრუნებულა!

ანუ უნიკალური ეროვნული სიმდიდრე – მტკნარი წყალი, როდემდე უნდა თვლემდეს ქართული მიწის წიალში?

იდეა!

ვიდრე მქონეთა და არამქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ!

ის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ დღეს მივისმენთ, არც ჩემი ნააზრევია და არც ვინმე ჩვენი თანამედროვის. მინდა, მადლიერება გამოვთქვა თანამედროვე ფილოსოფოსის და მოაზროვნის **თამაზ ბუთხუზის** მიმართ, რომელმაც მსოფლიოს ყველა დროის ფილოსოფოსთა ზოგიერთი ნააზრევი წიგნად **„შესაძლებლის აღსრულებაზ"** შეკრა და გაგვიზარა საკუთარი შეხედულებები. ეს ის ფილოსოფოსები არიან, რომელთა ათასწლეულების წინაა ნათქვამი დღესაც აქტუალური, შეუდარებელი მაშინდელი აზროვნება, რომელსაც ვერ ცვლის ვერც ტომი და დრო და დარჩება უკუნითი უკუნისამდე.

მიგვაჩნია, რომ ასეთი საინტერესო წიგნი დიდი ხანია, არ გამოსულა საქართველოში. ჩვენ არ გვაქვს იმისი ილუზია, რომ ამ ფილოსოფიას ყველა მოქალაქე ჩაწვდება. არა, ბატონებო, ეს არ არის ყველასთვის დაწერილი. ის მოაზროვნე და პროგრესული ადამიანებისთვისაა გაკეთებული.

არადა, ამის და ბევრი სხვა რამის ცოდნა არ აწყენდა დღევანდელ ჩვენს გზაბნეულ საზოგადოებას.

აქედან გამომდინარე, შევეცდები ოქროს ასოებით შეფინაზული კლასიკური ფილოსოფიის და დღევანდელი „ფილოსოფიის" გაგზრდას. მკითხველებს ბოდიშს ვუხდი აღნიშნული წიგნიდან ვრცელი ციტატების მოხმობის გამო, რომლებიც შეგრნებულად არ შემიკვეცია.

იხ. 5-7 გვ.

ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნის ხელისუფალნო, ჩაილულის წყალს ნუ გაატანთ ჩვენი გამდიდრებისა და გაძლიერების რეალურ იდეას!

მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენისა და წარმატებული ბიზნესმენის **რომან რურუას** 11 აპრილის „საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნებულმა" საგაზეთო სტატიამ **„ვიდრე მქონეთა და არმქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ",** ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ყურადღება მიიპყრო. საკითხი იმდენად რეზონანსული და მასშტაბური შეიქმნა, რამდენადაც მასში სიღრმისეულადაა ასახული ჩვენი ქვეყნის რაობა, მისი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პერსპექტივები და მისი შეგნებულად თუ შეუგნებლად „ვერ" ან „არ" განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფოში მოსალოდნელი სოციალური მოვლენებით გამოწვეული საფრთხეები.

იხ. 6 გვ.

ბაჯალლო ოქროზე ძვირფასი!..

ვინ არის ნამდვილი ქალა?!

3

მატრაკვეცების დოლი

მსოფლიოში მილიტარიზაციის ხარჯებმა რეკორდულ ზღვარს მიაღწია!

8

ინტერნეტძარცვა ბანკი გულგრილ პოზიციას იკავებს!

9

ანონსი

მედიცინის აქტუალური პრობლემები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოში მედიცინის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი კომისია

გიწვევთ ოთხშაბათს, 8 მაისს, 16.00 სთ-ზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში.

გაიმართება „საქართველოში მედიცინის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი კომისიის" მეორე სხდომა (რუსთაველის გამზ. 52, II სართული).

დღის წესრიგი:

1. კანცეროგენების შესაძლო როლი ონკოლოგიური დაავადებების განვითარებაში საქართველოში. აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი;
2. ონკოლოგიურ დაავადებათა სკრინინგის პროგრამა საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, დახვეწის გზები. პროფ. **რემა ღვამიჩავა,** ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი;
3. პროსტატის კიბო: ევროკავშირის მოთხოვნა სკრინინგის პროგრამის სასწრაფო განახლების შესახებ. **არჩილ ჩხოტუა,** საქართველოს ურولოგთა ასოციაცია;
4. ფარისებრი ჯირკვლის კიბო საქართველოში: სტატისტიკა, ტენდენციები, მართვის გაუმჯობესების გზები. პროფესორი **კონსტანტინე მარდალეიშვილი,** ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;
5. დისკუსია. რეგლამენტი 20 წთ.

გიორგი გახარიამ საპარლამენტო ოპოზიცია კიდევ ერთხელ დააჩმორა!

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ საქართველოს პარლამენტი ქრონიკულმა ავყიობამ (უსაგნო ლაქლაქმა) მოიცვა. შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას გაწონასწორებულმა, ფრთხილმა სახელმწიფოებრივად გამართულმა შეფასებებმა კიდევ ერთხელ ნორმიდან ამოაგდო ნაც-ევროპული მიმართულების ქორფა და მარადამწვანე დეპუტატები ნიკა მელია, რომან გოცირიძე, ხათუნა გოგორიშვილი, სალომე სამადაშვილი, თინა ბოკუჩავა, ელენე ხოშტარია და სხვა ყარტაყურტა პოლიტიკური გვამები!.. გულგატეხილმა, „მდაბალმა" გიორგი გახარიამ, რა თქმა უნდა, ბოლომდე მაინც ვერ(არ) გაწირა ჯოჯოხეთის მოციქული ეს მანქურთები და სინდის-ნამუსისა და სახელმწიფოებრივი აზროვნებისკენ შემობრუნება უსურვა მათ... მეტი არაა ჩვენი მტერი, მელია-ბოკუჩავასნაირებს რაიმე ეშელოთ, მაგრამ მინისტრს, ვიცე-პრემიერს და აწ უკვე უშიშროების საბჭოს მდივანს გიორგი გახარიას დიდი მოთმენის ნიჭიც რომ აქვს, ცხადზე უცხადესია!..

იხ. 2 გვ.

მოდერნისა და ძველი არქიტექტურის სინთეზი

ჩვენი ეკონომიკური სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ საქართველო გახდეს რეგიონის ეკონომიკური ცენტრი, რაც ინვესტირების ძალიან მაღალ დონეს გულისხმობს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მსოფლიო ბრენდის სასტუმრო Wyndham Grand Tbilisi-ის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით აშენებული ახალი სასტუმრო, რომლის საინვესტიციო ღირებულება 48 მილიონი აშშ დოლარია, დედაქალაქის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი გახდება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულებაა.

პრემიერმა ინვესტორებს მასშტაბური ინვესტიციის განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა. მამუკა ბახტაძემ სოციალურად პასუხისმგებლიანი ბიზნესის კულტურის სფეროსთან თანამშრომლობის კუთხით სამაგალითოდ შეაფასა ის ფაქტი, რომ ინვესტორმა უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად გარემონტებული 3650 კვ.მ ფართი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადასცა.

„აღნიშნული სასტუმრო მართლაც ძალიან ჰარმონიულად ჩაჯდა მუზეუმების უბანში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის ფარგლებში ფართი გადაეცა ეროვნულ მუზეუმს და ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ უნდა თანამშრომლობდეს სოციალურად პასუხისმგებლიანი ბიზნესი კულტურის სფეროსთან. მთავრობა ასეთ პროექტებს ყოველთვის მხარს დაუჭერს. ჩვენი ეკონომიკური სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ საქართველო გახდეს რეგიონის ეკონომიკური ცენტრი, სადაც თითოეული ინვესტორი გრძნობს, რომ ქვეყანა ყოველწლიურად ვითარდება, წინ მიდის და საქართველოში ჩადებული ინვესტიციები გენერირებენ უკუგებას“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში განთავსებული სასტუმრო, რომელიც მოდერნისა და ძველი არქიტექტურის სინთეზს წარმოადგენს, 158 ნომერს მოიცავს, მათ შორის 17— მაღალი კლასის, ხოლო 2 უმაღლესი თანამდებობის პირებისთვის განკუთვნილი ნომერია. სასტუმროს ასევე აქვს საკონფერენციო სივრცეები.

Wyndham Grand Tbilisi-ის გახსნის საზეიმო ცერემონიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, თბილისის მერი კახა კალაძე, ხელისუფლების, ბიზნესისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

გიორგი გახარია:

ამ ქვეყანას ჰყავს ოკუპანტი — ეს არის რუსეთი....

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია გუშინ პარლამენტის ტრიბუნიდან დეპუტატების შეკითხვებს პასუხობდა. მინისტრმა გამოსვლის დასაწყისში დავით გარეჯის მონასტრის გარშემო მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით დასმულ კითხვას უპასუხა.

„რეალურად საკმაოდ ფაქიზი, ფრთხილი საკითხია. ყველას მოგეხსენებათ, რომ ეს არის საკითხი, რომელიც მძიმედ დგას დაახლოებით 1996 წლის შემდეგ. ეს არის ქვეყნის პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა და ერთმნიშვნელოვნად ყველას კარგად გვესმის, რომ დემარკაციის საკითხი არის პრინციპული.ამ თემასთან დაკავშირებით, გარკვეული წლების განმავლობაში იყო გაურკვეველი პაუზა, რომელიც სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს. მე შემიძლია გითხრათ, რომ უახლოეს პერიოდში, ალბათ, უახლოეს მთავრობის სხდომაზე, ახალი დემარკაციის კომისია იქნება დაკომპლექტებული და ეს სამუშაო დაიწყება ჩვენს მეზობელთან ერთად. კომისია სასწრაფოდ შეუდგება მუშაობას და შესაძლებელ ვადებში ყველა უნდა ვეცადოთ, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ დაიხუროს, რამეთუ ეს არის პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა, რომელიც გრძელდება უკვე ათწლეულებია. მაშინ, როდესაც ყველას კარგად გვესმის, რომ აზერბაიჯანი არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, ეს არის ჩვენი მოძმე ერი და დემარკაციის კომისიის მუშაობის ფარგლებში ჩვენ ერთად გადავწყვეტთ ყველა იმ პრობლემას, რომელიც ეხება როგორც კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს, ასევე შედის ჩვენი ეკლესიის ინტერესების სფეროში და აქ ორი აზრი არ არსებობს. ყველა სხვა სახის შეფასება არის ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული შეფასება. ყველა ის შეფასებები ან შედარებები, რომლებიც იყო მაგალითად, რუსეთის ფედერაცია და სხვა მსგავსი — ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამ ქვეყანას ჰყავს ოკუპანტი — ეს არის რუსეთის ფედერაცია და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სხვა ყველა მეზობელი იყოს ჩვენი სტრატეგიული პარ-

ტნიორი. ამაში არის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვანი პოტენციალი და აქ გარკვეული კითხვის ნიშნები კი არა, გაჟღერებული არასწორი განმარტებებიც არის მაღალი რისკის შემცველი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ დავით გარეჯის საკითხი, დარწმუნებული ვარ, რომ საზღვრის დემარკაციის ფარგლებში იქნება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან მეგობრული ურთიერთობის სულისკვეთებით გადაწყვეტილი, სადაც იქნება გათვალისწინებული როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ასევე ეკლესიის ინტერესები,“ — თქვა გიორგი გახარიამ.

ᲐᲨᲨ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ-ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲭᲠᲘᲚᲨᲘ

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ტვიტერის პოსტთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას უპასუხა.

„მე არ შევაფასებ პრეზიდენტის გამონათქვამს. მე გეტყვით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, ეს არის ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, ასევე მისი უსაფრთხოების, თავდაცვისუნარიანობის ჭრილში ძირითადი და სტრატეგიული მხარდამჭერი და აშშ-სთან ორმხრივი ურთიერთობა როგორც უსაფრთხოების, ასევე თავდაცვის ნაწილში არის ამ ქვეყნის პრიორიტეტი“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ „ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ხელი მოაწერა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებს, რომელიც გადმოგზავნილი იქნა საქართველოს პარლამენტიდან.

„პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად დოკუმენტში მეორე მოსმენით გათვალისწინებულ იქნა ის პრინციპული რეკომენდაციები, რომელიც ასახული იყო ვენეციის კომისიის დასკვნაში. განხორციელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უფრო ღია, გამჭვირვალე შერჩევას და პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ იგი დადებითად აისახება სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლებაზე“ — აღნიშნულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ 27.29 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗᲐᲐ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ!

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წლის იანვარ-მარტის რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა გამოაქვეყნა. ანგარიშის თანახმად, მიმდინარე წლის 3 თვეში სულ რეგისტრირებულია 117821 დანაშაული, რაც ნიშნავს იმას, რომ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეგისტრირებული დანაშაული 27.29%-ითაა გაზრდილი. რეგისტრირებული დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 26.36%-ია.

რაც შეეხება კონკრეტულად დანაშაულის სახეობებს, 2019 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე რეგისტრირებულია 7 განზრახ მკვლელობა, საიდანაც გახსნილია 6. განზრახ მკვლელობის რაოდენობა 63.16%-ით არის შემცირებული. 140%-ით არის გაზრდილი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მაჩვენებელი, 2018 წლის შესაბამის პერიოდში 5 ასეთი ფაქტი მოხდა, 2019 წელს კი 12, აქედან გახსნილია 11.

33.33%-ით არის გაზრდილი მკვლელობის მცდელობა. თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით, 2019 წლის 1 იანვრიდან მარტის ჩათვლით 651 საქმე აღიძრა, წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 41.83%-ით არის გაზრდილი.

2019 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე რეგისტრირებულია ოჯახში ძალადობის 1566 ფაქტი, აქედან გახსნილია 796. პროცენტულად ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 35.47%-ით არის გაზრდილი.

2019 წელს რეგისტრირებულია 27 გაუპატიურების დანაშაული, აქედან გახსნილია 8. პროცენტული მაჩვენებლით მსგავსი სახის დანაშაული 42.11%-ით არის გაზრდილი. 36.07%-ით არის გაზრდილი სხვა სახის სქესობრივი დანაშაულები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 88.89%-ით გაიზარდა.

შს სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წელს ამ დანაშაულის — 34, ხოლო 2018 წლის იანვარ-მარტში 18 ფაქტი დაფიქსირდა.

ზოგადად სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკა კი მიმდინარე წლის I კვარტალში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.85%-ით არის შემცირებული. კერძოდ, თუ მიმდინარე წლის I სამ თვეში სამოხელეო დანაშაული 161 ფაქტი დაფიქსირდა, 2018 წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 171 იყო.

სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა — რეგისტრირებულია 150 დანაშაული, წინა წელთან შედარებით გაზრდილია +183.02%-ით;

ნარკოტიკული დანაშაული — რეგისტრირებულია 1295, წინა წელთან შედარებით გაზრდილია 36.03%-ით;

სატრანსპორტო დანაშაული — რეგისტრირებულია 1116, გაზრდილია 8.88%-ით;

კომპიუტერული დანაშაული — რეგისტრირებულია 476, გახსნილია 11, წინა წელთან შედარებით გაზრდილია 211.11%-ით;

ტერორიზმი — რეგისტრირებულია 3, გახსნილია 0, წინა წელთან შედარებით შემცირებულია 57.14 %-ით.

ვინ არის ნამდვილი ძალა?!

მატრაკვეცების დოლი

ყოველგვარი ფილოსოფიური შესავლის გარეშე, პირდაპირ ვიტყვი, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში (თუ ასეთი რამ არსებობს) საკმაოდ უცნაური ნორმალური პოლიტიკური ცხოვრებისთვის არაადეკვატური და აბსოლუტურად მიუღებელი ვითარებაა.

არაადეკვატური და მიუღებელი იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ ამდენი წლის მანძილზე, ფაქტობრივად, ვერ ჩამოყალიბდნენ ის ძალები, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ცივილიზებულ კალაპოტში ჩააყენებენ.

ამ ყველაფრის „გასაპრავებლად“ კი შექმნილია თიკუნები – „მეორე და მესამე პოლიტიკური ძალა“. „პირველ ძალას“ კი არ ახსენებენ. ალბათ, თვლიან, რომ ხალხი თავად მიხვდება.

უკაცრავად, მაგრამ რა პირველი, რის მეორე და სადაური მესამე?

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ – იმ „ტიპთაგან“, რომლებიც ამ მართლაც მეტად ღირსეულ ტიტულებზე აცხადებენ პრეტენზიას, რომელია „ძალა“?

ამ მატრაკვეცათაგან რომელია ის რეალური პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც საკუთარი შესაძლებლობებით, საკუთარი ქარიზმითა და ხალხის მხარდაჭერით შეუძლია წარმართოს ქვეყნის ბედი, ზუსტად განსაზღვროს პრიორიტეტები და იბრძოლოს მუდმივი განვითარებისთვის?

კარგით რა, ხალხო. პოლიტიკური პარტიები ხართ თუ ქართული შოუ-ბიზნესის „ვარსკვლავები“, რომლებსაც ახლობელმა ჟურნალისტებმა რატომღაც ეს თიკუნი მოარგეს და მართლა დაიჯერეს, რომ „ვარსკვლავები“ არიან?

არადა, ხალხი ნამდვილად ხედავს, თუ ვინ არის რეალური პოლიტიკის შემქმნელი, ვის უჭერს ხალხი მხარს და ვინ განსაზღვრავს ნამდვილ ცივილიზებულ, დასავლურ პრინციპებს, რომლებიც ეროვნულ იდეასთან თანხვედრაშია.

არ მინდა, უიარაღოს „მამლუქის“ შეძახილივით – „ვინ იყო ის გმირი“... გამომივიდეს და ამიტომ პირდაპირ გეტყვით:

ჩემი აზრით, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავისი პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე ჩამოყალიბდა რეალურ და ანგარიშგასაწევ ორგანიზაციად. გაიარა საკმაოდ დიდი გზა ქუჩის ოპოზიციიდან საპარლამენტო ტრიბუნამდე და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს კონსტრუქციული ოპოზიციური ძალის ნიმუშს წარმოადგენს.

დითირამბებს ნამდვილად არ დავიწყებ, რადგანაც იცით, რომ პოლიტიკოსებისა და მათი გაერთიანებების ქება არ მიყვარს და არც არის საჭირო, მაგრამ რამდენიმე მაგალითს გეტყვით: ყოფილ პრემიერ კვირიკაშვილთან საკმაოდ მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, კვირიკაშვილის მიერ რუსეთთან ურთიერთობის საკითხში გადადგმულ საკმაოდ სერიოზულ ნაბიჯს, ანუ მის მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი მიწერილ წერილს, დადებითი შეფასება მისცეს და იმ ვითომდა დასავლურად მოაზროვნე აგრესიულ ოპოზიციონერთაგან განსხვავებით, ქვეყნისთვის აუცილებელ სვლას მხარი დაუჭირეს.

და უმთავრესი – საკანონმდებლო დონეზე შეიტანეს ბოკერია-სააკაშვილის რეჟიმის შეფასების მოთხოვნა. ხაზს ვუსვამ – შეფასების და არა 37-იანი წლების სტილში ვიღაცების (თუნდაც აშკარა დამნაშავეების) დახვრეტისა თუ სახალხოდ თრევის მოთხოვნა, რაც უდავოდ ცივილიზებული, კონსტრუქციული და არსებული ვითარებიდან გამომდინარე ყველაზე რეალური ნაბიჯი იყო.

სამწუხაროდ, იმ ე.წ. „პირველმა“ და „მეორე“ ძალებმა მხარი არ დაუჭირეს ამ რეზოლუციას, რითაც ფაქტობრივად კიდევ ერთხელ მოახდინეს საკუთარი თავის ლუსტრაცია და ნათლად გვაჩვენეს, რომ არავითარ „ძალას“ არ წარმოადგენენ.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ ღიად დაუჭირა მხარი მმართველი ძალისგან წარდგენილ კანდიდატს. კანდიდატს, რომელმაც პირველი ტური ფაქტობრივად წააგო.

მხარი დაუჭირა საქართველოს მშვიდ მომავალს და მეორე ტური მოაგებინა. აღარაფერს ვიტყვი იმ უზარმაზარ აქციაზე, რომელიც თავისუფლების მოედანზე გამართა და ხალხს აჩვენა, თუ ვინ არის ქვეყანაში რეალური ძალა. ცხადია, ე.წ. „მეორე ძალის“ მიერ გამართული აქციის შესახებ, სადაც მიუხედავად ბაქიბუქისა, მილიონი მხარდამჭერი გვყავსო, ერთი კარგი ქორწილის რაოდენობის ხალხიც არ მივიდა.

საკმაოდ რეალური და დღევანდელი პრობლემების გამოძახილია ალიანსის განცხადებები, რომლებიც აბსოლუტურად ყველა საჭირბოროტო საკითხს ეხება.

მაგალითისთვის მოვიყვან ირმა ინაშვილის განცხადებას, რომელიც ამ რამდენიმე კვირის წინათ სამეგრელოში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით გააკეთა: ფაქტია, რომ სკოლის სასადილოებში არსებობს ე.წ. ნისიის რვეულები, სადაც ფიქსირდება – თვის მანძილზე კონკრეტულმა მოსწავლემ რამდენი ცალი ფუნთუშა თუ ღვეზელი აიღო.

ამ დღეებში არაერთი რაიონის მოსწავლეს, მშობელს, პედაგოგს ვესაუბრე. როგორც ირკვევა, სკოლის სასადილოებში ეს პრაქტიკა მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებს. ზოგიერთმა მშობელმა ამიხსნა, რომ თვის ბოლოს მიდის სასადილოში და იხდის მთელი თვის საკვების საფასურს. ზოგიერთმა მითხრა, რომ გადახდა უჭირს და ამის გამო, ბავშვები სკოლაში იმ დრომდე არ მიდიან (გაკვეთილებს აცდენენ), ვიდრე მშობელს ნისიად აღებული საკვების ფული სკოლაში არ მიაქვს. ყველას აქვს ღირსება და თავმოყვარეობა!

მივმართავ განათლებისა და ფინანსთა სამინისტროებს: სასწრაფოდაა მისაღები გადაწყვეტილება, რომ საჯარო სკოლებში (პირველ ეტაპზე – პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით, მეორე ეტაპზე – პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით) ბავშვთა კვება იყოს უფასო!

ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომელსაც საჯაროდ ვაყენებ ხელისუფლების წინაშე – ეს არის ბავშვთა შიმშილის დაძლევა. გვაქვს ჩვენ ამისი საშუალება? გვაქვს! ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას ბავშვები შიმშილისაგან.

ვალდებულია!!!

ასევე ძალიან ზუსტი შეფასებაა სამხედრო ალიანსებთან მიმართებაში საქართველოს მონაწილეობაზე:

28 წელიწადია, ვაშენებთ დამოუკიდებელ, უსაფრთხო და მდიდარ ქვეყანას.

28 წელიწადია, თავდაუზოგავად ვმონაწილეობთ ნატოს სამხედრო ოპერაციებში! ვცდილობთ ნატოში გაწევრებას.

საუბედუროდ, ჩვენ ვერ ვაწარმოეთ სწორი პოლიტიკა, დავკარგეთ სოხუმი, დავკარგეთ ცხინვალი, მაგრამ არსებობს გამოსავალი – შვეიცარიის, ფინეთის, ავსტრიის, შვედეთის გამოცდილების გაზიარება! ანუ ამ ქვეყნების მსგავსად, ჩვენ უნდა ვმონაწილეობდეთ ევროინტეგრაციაში, მაგრამ არ უნდა გავწევრდეთ არც ერთ სამხედრო ბლოკში! ევროინტეგრაცია, მაგრამ სამხედრო მოუმხრობლობა!

დააკვირდით: სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში ჩვენ არც სომხების და არც აზერბაიჯანელების მხარე არ დავიჭირეთ, ანუ მიუმხრობლობა გამოვიჩინეთ და ამ ერთადერთმა სწორმა ქმედებამ მხოლოდ დადებითი ნაყოფი გამოიღო!

28 წელიწადია, სახელმწიფო გვარწმუნებს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თავად უნდა შექმნას თავისი მომავალი და ამ გზაზე ჩვენ წლიდან წლამდე ვღატაკდებით.

არადა, სწორედ სახელმწიფოა ვალდებული, დაასაქმოს თითოეული ჩვენგანი, შეუქმნას თითოეულ ჩვენგანს თუნდაც პატარა, საკუთარი საოჯახო ბიზნესი. სახელმწიფო ვალდებულია!

წელს თავდაცვასა და ნატოს პროექტებზე მილიარდი ლარია გამოყოფილი. აქედან საქართველოს თავდაცვას 600 მილიონი ლარი სჭირდება, 400 მილიონით კი ნატოსგან იარაღი უნდა ვიყიდოთ და საერთოდ ნატოზე უნდა დავხარჯოთ. მომავალ წელს დაახლოებით 1 მილიარდ 400 მილიონი უნდა გამოიყოს. აქედან 600 მილიონი კვლავ თავდაცვაზე წავა, 800 მილიონი კი კვლავ ნატოს მოხმარდება და წლიდან წლამდე ეს ციფრი გაიზრდება! არადა, წელს 400 მილიონ ლარად ჩვენ 8000 ოჯახს შევუქმნიდით და ვაჩუქებდით საოჯახო ბიზნესს. მომავალ წელს უკვე 16000 ოჯახს შევუქმნიდით საოჯახო ბიზნესს! მაგრამ ჩვენ ვერაფერს ავაშენებთ, თუ მუდმივ პოლიტიკურ თამაშებსა და ტყუილში ვიქნებით!

უარი უნდა ვთქვათ ურთიერთგარიგებულ ნაცმოძრაობასა და ოცნებაზე.

ამიტომ ჩვენ – საქართველოს პატრიოტები ვიწყებთ საერთო-სახალხო მოძრაობას, რათა ხელისუფლება ვაიძულოთ, ნატოსთვის განკუთვნილი თანხა წარმართოს საოჯახო ბიზნესების შექმნაზე, ევროინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად, გამოვაცხადოთ სამხედრო მიუმხრობლობა და გავთავისუფლდეთ ურთიერთგარიგებული, უზნეო პოლიტიკოსებისა და პოლიტიკისგან!

ერთად დავემშვიდობოთ „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას!

საკმაოდ მკვეთრი განცხადებაა. მკვეთრია, მაგრამ ნორმალურ მომავალს გვაჩვენებს.

ბუნებრივია, რომ „პატრიოტთა ალიანსშიც“ არ არის ყველაფერი „დავარცხნილი“ და ისიც ცხადია, რომ არა მხოლოდ მე, საზოგადოებასაც აქვს საკმაოდ მწვავე შენიშვნები და მოთხოვნები იმ მინუსების მიმართ, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელი და გამოსასწორებელია.

პირველ რიგში, აუცილებლად მინდა ხაზი გავუსვა ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლობით სახეს. მათ, ვინც სხვადასხვა ტელეეთერებიდან თუ მედიის სხვა საშუალებებიდან მიმართავს ხალხს, იმ წარმომადგენლობით გუნდს, რომლებითაც ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში უნდა დაკომპლექტდეს ხელისუფლება.

პირდაპირ ვიტყვი, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ ამ მიმართულებით საკმაოდ მოიკოჭლებს. არ ჩანან ახალგაზრდები, ახალი სახეები, რომლებიც თავიანთი ქარიზმით ფართოდ გაშლიან ე.წ. პიარ-სამუშაოს.

მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ ვიტყვი, რომ „პატრიოტთა ალიანსში“ არ ჩანან ე.წ. „გაუთავებული, ჰალსტუხიანი ტიპები“, რომელთა ტანდემი გამოცდილ ხალხთან, ახალგაზრდობის მოზიდვის და მასთან ინფორმაციის მიტანის საშუალება იქნება, ანუ, უხეშად რომ ვთქვა, ამ ძალას აკლია ე.წ. „გასაყიდ სახედ შეფუთვა“.

ერთი შეხედვით ამისთვის 2020 წლამდე საკმაო დროა, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა ახლავე უნდა დაიწყონ. ახლავე, რადგანაც ქართული გამოცდილების გათვალისწინებით ვიტყვი: არჩევნების წინ ახალი სახეების შემოყვანა ძველებთან საკმაოდ დიდ პრობლემებს შექმნის.

ცხადია, რომ „პატრიოტთა ალიანსს“ ტელესივრცე არ სწყალობს. „რუსთავი-2“ პირდაპირ ებრძვის, ხოლო „იმედს“ მხოლოდ ინაშვილის მიერ ნაცების წინააღმდეგ გაკეთებული ხისტი კომენტარები სჭირდება.

პრინციპში ეს არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, რადგანაც „პატრიოტთა ალიანსს“ აქვს თავისი მხარდამჭერი ტელევიზია „ობიექტივი“ და სერიოზული ბეჭდვური მედიაც მხარს უჭერს, მაგრამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად გასაახლებელია „ობიექტივის“ სატელევიზიო ფორმატი.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და წერილის ბოლოს ამ ვითომდა „პირველ და მეორე პოლიტიკურ ძალებს“ მივმართავ იმ სიტყვების მცირე სახეცვლილებით, რომლითაც ნოდარ დუმბაძის რომან „მზიანი ღამის“ გმირმა, ბატონმა შალვამ მიმართა ლიტერატურული წრის „პარნასის“ წევრებს: „ეძახეთ, ბატონო, ერთმანეთს პირველი და მეორე ძალები, მაგრამ ვის სჯერა?“

ხალხი ყველაფერს ხედავს და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ სწორ არჩევანს გააკეთებს.

გია გაბრიჭიძე

ყველას, ვინც იზიარებთ ჩვენს სულისკვეთებასა და ხედვას, გიწვევთ 4 მაისს, შაბათს, დღის 4 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში!

დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი!

ივანიშვილის დაფინანსებული პარკი გაიხსნა

დენდროლოგიური ბაღი კიდევ სხვაა

ოზურგეთში, შეკვეთილთან, ურეკსა და ოზურგეთს შორის, წვერმაღალას გზაზე ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებული ახალი პარკი გაიხსნა.

არ აგერიოთ ეს ადგილი შეკვეთილის დიდ დენდროლოგიურ პარკში, რომლისთვისაც ხეებს ბიძინა ივანიშვილი მთელი საქართველოს ტერიტორიაზე არჩევს.

წვერმაღალას პარკის მოსაწყობად ივანიშვილმა ტერიტორია კერძო პირისგან გამოისყიდა. მწვანე ტერიტორიის პარკად მოწყობა შარშან დაიწყო.

პარკი ორ იარუსიანია. მეორე იარუსზე, დაახლოებით 50 მეტრზე ზღვის დონიდან სანაპიროს დიდებული პეიზაჟი მოჩანს.

პარკში გაშენდა მანდარინების ბაღი და დაიდგა ხის რამდენიმე ფანჩატური. პარკი ღიაა დილის 10 - დან საღამოს 7 საათამდე.

რაც შეეხება შეკვეთილის დიდ დენდროლოგიურ პარკს, რომელიც 60 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს, 2020 წელს გაიხსნება.

ნინო ხარაძე

ძველ ბათუმში ახალი სასტუმრო „BLOOM“ გაიხსნა

ბათუმს კიდევ ერთი სასტუმრო შეემატა. ბუტიკის ტიპის სასტურმო „BLOOM“ ძველ ბათუმში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტმა და ბათუმის მერმა ლაშა კომახიძემ ოფიციალურად გახსნეს. სასტუმრო 27-ნომრიანია და ის ჯამში 78 ადამიანზეა გათვლილი. სასტუმრო სრულადაა აღჭურვილი უსაფრთხოებისა და სახანძრო სისტემით. ამ ეტაპზე, სასტუმროში 30 ადამიანია დასაქმებული.

„ამ დღეებში ჩვენ უკვე მეორე სასტუმრო გავხსენით ბათუმში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ახალი საწოლი ადგილების შექმნის კუთხით. სასტუმრო ბათუმის ისტორიულ უბანში მდებარეობს და ის სრულად ჯდება იმ ავთენტურ გარემოში, რაც ასე მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის ძველ ბათუმს ტურისტებისთვის. რეგიონს ყოველწლიურად ემატება ახალი ტურისტული ობიექტები, ეს იქნება განთავსების, კვებისა თუ გასართობი, რაც დამატებითი სტიმულია ბიზნესისთვის და მრავალფეროვან არჩევანს ქმნის ტურისტებისთვის“ — განაცხადა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტმა სასტუმროს გახსნისას.

ნაძალადევში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა

პროექტი ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე, ზედაუბნის ქუჩაზე გაკეთდა ბორდიური და ორფენიანი ასფალტის საფარი დაიგო. ასევე, ერთ-ერთ ჩიხში ბეტონის გზა და ლითონის მოაჯირი მოეწყო. მეორე ეტაპზე ასფალტის საფარი დანარჩენ ორ ჩიხში დაიგო. საგზაო ინფრასტრუქტურა ჯამში, 1 570 კვ.მ ფართობზე მოწესრიგდა.

შესრულებული სამუშაოები ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ირაკლი ხელაძემ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ დავით ჭელიძესთან ერთად დაათვალიერა.

„ზედაუბნის ქუჩაზე და ჩიხებში გზის საფარი ათეულობით წლებია, არ შეკეთებულა. იმდენად ამორტიზებული იყო გზა, რომ მოსახლეობას გადაადგილება ძალიან უჭირდა. ახლა აღნიშნული ტერიტორია უკვე კაპიტალურად არის მოწყობილი. გამგეობის მიერ გზის რეაბილიტაციის დაწყებამდე, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ ზედაუბნის ქუჩაზეც და ჩიხებშიც მიწისქვეშა კომუნიკაციები შეცვალა“, - განაცხადა ირაკლი ხელაძემ.

საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ ბიუჯეტიდან 142 451 ლარი გამოყო.

ისნის რაიონში შვიდი სპორტული მოედანი მოეწყო

ისნის რაიონის გამგეობამ სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით შვიდი სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები განახორციელა.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ფეხბურთისა და კალათბურთის კომბინირებული სპორტული მოედნები ვაზისუბნის II მიკრორაიონის №11 კორპუსის მიმდებარედ, ასევე, ავლაბარში, კვეზერელი-კოპაძის ქუჩისა და ქურხულის ქუჩის კვეთაზე მოეწყო.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა კომბინირებული სპორტული მოედნები მოსკოვის გამზირის №1 და №3 კორპუსებს შორის, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის №5 გ-ს მიმდებარედ, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის №11 კორპუსთან და ამავე გამზირის №39 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე.

პროექტების ფარგლებში, მოედნებზე ბალახის ხელოვნური საფარი დაიგო, დამონტაჟდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფეხბურთისა და კალათბურთის კარები და ფარები, მოეწყო LED განათების სისტემა, ორ მისამართზე დამონტაჟდა 100 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნები, მოედნები შემოიღობა მავთულ-ბადეებით, ხოლო შესასვლელები ადაპტირდა შშმ პირებისთვის. მოედნებზე ასევე, დამონტაჟდა საინფორმაციო აბრები.

აღნიშნული სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები ისნის რაიონის გამგეობამ ბიუჯეტიდან 464 717 ლარით დააფინანსა.

არნახული მასშტაბის სამუშაოები სენაკში

ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს კოლხეთის გულში, გამორჩეული კულტურისა და წარსულის მქონე ქალაქ სენაკის მცხოვრებლები ამაღლებული განწყობით შეხვდნენ. ჩატარდა და დღესაც ტარდება მანამდე არნახული მასშტაბის სარეაბილიტაციო ღონისძიებები. ათეული წლებია, ასეთი კეთილმოწყობისა და განახლების სამუშაოები არ ჩატარებულა (მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ვახტანგ ფაცაცია).

აკაკი ხორავასა და ჟიული შარტავას აღმზრდელ ქალაქში, თვალს ახარებს, რომ ალაგ-ალაგ ამოცვენილი და ამორტიზებული სავალი გზების ნაცვლად, სადაც წვიმის გუბურები იდგა, რის გამოც ფერხდებოდა რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე მიმოსვლა, მთლიანად გამოიცვალა სავალი ნაწილის ქვაფენილი. განახლდა ტროტუარები, დაირგო ყვავილები. სიახლე ისიც გახლავთ, რომ უნარშეზღუდული მოქალაქეთათვის მოეწყო სპეციალური სავალი ნაწილი..

ტროტუარების მოწყობითი სამუშაოები შეასრულა რამინ ესართიასა და ბახვა ლაზარის ბრიგადებმა.

ასევე მასშტაბური სამუშაოები ტარდება მრავალსართულიანი კორპუსების ფასადების ძველი ბათქაშის ჩამოფხეკისა და ხელახლა შელესვისთვის. ამ საქმიანობისთვის გამოყოფილია 288. 686 ათს. ლარი (ინდ მეწ. ველოდი სანაია). ამჯერად ქალაქის ცენტრში აღმართული სახლები უფრო კოპწიად და მიმზიდველად გამოიყურებიან.

მერიას ყურადღების გარეშე არ დარჩენია კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა და არსებულის განახლება. (შპს „ოსო“ — დათო ოდიშარია) ამ მიმართულებით დაგეგმილია 131 ათს ლარზე მეტის დახარჯვა.

ქალაქ სენაკის მოსახლეობის ეზოებს ოდითგანვე ტბორავდა წყალუხვობის დრის ღელე „ფიცუ“, ამიტომ ამ და სხვა სანიაღვრე სისტემის მოწყობა გადაუდებელი და აუცილებელია. ამ მიმართულებით სამუშაოებს აწარმოებს დათო ადამიასა და ამირან აფაქიძის ბრიგადები.

მისასალმებელია, რომ მერიას ყურადღების გარეშე არ დარჩენია ქალაქში არსებული მინი ფეხბურთის მოედნების რეაბილიტაცია (225.861 ლარი). ამ მხრივ უკვე დაიწყო 3 მინი და ცენტრალური სტადიონის განახლების სამუშაოები. მწყობრში ჩადგა ჟ. შარტავას სახელობის ცენტრალურ პარკში არსებული მინი საფეხბურთო მოედანი.

ქალაქის ქუჩებისა და მოედნების შავი საფარით მოპირკეთება მუდმივი პროცესია. ამ მხრივ არც 2019 წელია გამონაკლისი. ჩვეული ენერგით ამ მიმართულებით სამუშაოებს ატარებს კომპანია „არქეოპოლისი“ (ხელ. დემურ გადელია).

უახლოეს დღეებში დაიწყება სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ოფისების მშენებლობა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას.

ასევე დასრულდა ტენდერი 6 ქუჩაზე გარე განათების სადენების გაყვანისა და მონტაჟისთვის. უკვე ათობით ქუჩას ექნება ღამის განათება. მათ შორის ქალაქის განაპირა ქუჩებსაც.

მიხარია იმის განმეორება, რომ ერთბაშად ამდენი სარეაბილიტაციო და განახლებითი სამუშაოების ჩატარება დიდი ხანია, არ ახსოვს სენაკის მოსახლეობას. ამას თუ მივუმატებთ მომავალში გასამართ ადგილობრივ და საერთაშორისო კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს, ყოველივე მართლაც სასიხარულო და მისასალმებელია.

ბორის დავითაია,
სენაკი

მანიპულირების მსხვერპლი ქართველები

საფრანგეთის ელჩი პასკალ მენიე: საქართველოში არ არის ისეთი სიტუაცია, რომ მისმა მოქალაქეებმა პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვონ

– განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოში საფრანგეთის ელჩმა პასკალ მენიემ. როგორც ფრანგი დიპლომატი აცხადებს, საფრანგეთის პრიორიტეტია, საქართველოს ვიზალიბერალიზაცია შეუნარჩუნდეს.

„საფრანგეთმა თავის დროზე მხარი დაუჭირა ვიზალიბერალიზაციას და ჩვენი მიზანი იყო, საქართველოს რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს ჰქონოდა შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად გადაადგილებულიყო ევროკავშირის ფარგლებში.

ჩვენი პრიორიტეტია, რომ ეს შენარჩუნდეს. ამას გარდა, საფრანგეთში მზარდია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ. ეს ცოტა არ იყოს გაუგებარია, არ მოდის თანხვედრაში იმ სიტუაციასთან, რაც ხდება საქართველოში. საქართველოში არ არის ომი, არ არის ისეთი სიტუაცია, რომ მისმა მოქალაქეებმა მოითხოვონ პოლიტიკური თავშესაფარი. პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ ზოგადად დევნილები ან ის ადამიანები, რომლებიც რაღაც ტიპის დევნას განიცდიან. შესაბამისად, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მოქალაქეები ერთგვარად ხდებიან იმ ადამიანების მანიპულირების მსხვერპლნი, რომლებიც ან შესაძლოა მათ პირდებიან რაღაცას ან არ არიან ინფორმირებული, რომ მათ პოლიტიკური თავშესაფრის მოძიება გაუჭირდებათ საფრანგეთში.

საქართველოს მოქალაქეები რაოდენობრივად იკავებენ პირველ ადგილს საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის რაოდენობის მიხედვით“, – განაცხადა პასკალ მენიემ.

ელჩის თქმით, **„მათ, სავარაუდოდ, ქვეყნიდან დეპორტაცია ელოდებათ. ჩვენი მიზანია, რომ სიტუაცია დარეგულირდეს და ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის მთავრობა საქართველოს მთავრობასთან ერთად მუდმივი მუშაობის რეჟიმშია. ჩვენ სამოქალაქო ინიციატივა, რომ ეს ადამიანები, ანუ ეს ადამიანები, ეს ადამიანები, ეს ადამიანები,

სანამ ურემი ლაფში ამობრუნებულა!

(პირველი გვერდიდან) ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის უაღრესად აქტუალურია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მეცნიერულ დონეზე დამუშავებული გენერალური სტრატეგიის ხორცშესხმის პრობლემა, რაც არაერთხელ ყოფილა მსჯელობის თუ დისკუსიის საგანი. თუმცა, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ დაუყოვნებლივ ასამოქმედებელია როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი უპირატესობის შემცველი „ქართული სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის კონცეფცია-პროგრამა, რაც საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების დასაბუთებულ-რეალურ დოქტრინას წარმოადგენს, რომელშიც მეცნიერული სიზუსტითაა განსაზღვრული ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მატერიალური სიმდიდრე შესაბამისი ფასების ინდექსით და შექმნილია ახალი ფინანსური ინსტრუმენტი მსოფლიო მნიშვნელობის უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიების სახით, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავებული დარგობრივ-ეკონომიკური (17-მიმართულების) სტრატეგიული პროექტების დაფინანსებას ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, რაც ჭარბი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე (ინდუსტრიაში გამოუყენებელი უდიდესი რესურსული პოტენციალის), როგორც კაცობრიობის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის მატერიალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენების უნიკალური მოდელით გახდა შესაძლებელი.

აქედან გამომდინარე, უბრალო ენით რომ ვთქვათ დღეს ჩვენი სამშობლო საქართველო ყველაზე უმდიდრესი ქვეყანაა დედამიწაზე, შეუდარებელი თვისებების მქონე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების, ბუნებრივი განახლება-კვლავწარმოების უნარ-თვისებების სიმდიდრით, რასაც ადამიანის სიცოცხლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მსოფლიოში არსებული ენერგომატარებელ რესურსებსა და ძვირფასი მეტალების საბადოებს.

აი, ამ სიმდიდრეზე, ამ უნიკალური ინოვაციური მოდელის გამოყენებით შეძლო და ააგო, საქართველოს საინჟინრო აკადემიის, საქართველოს ბიზნეს-მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა დარგობრივი აკადემიების ნამდვილმა წევრმა, პროფესორმა, ავტორმა და თანაავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელმა პაატა გიორგაძემ ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამა, ხოლო შემდგომ ცნობილი მეცნიერებისა და მკვლევარ-სპეციალისტთა ძლიერი ჯგუფის ჩართულობით შეიმუშავა ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი სტრატეგიუული მიმართულებების კონცეფცია-პროგრამა „წყალი ეროვნული სიმდიდრე“, რასაც ქვეყნის შემოსავლების ზრდისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით მოჰყვა დარგობრივი ეკონომიკის განვითარების მრავალტომეული პროგრამების შემუშავება და ამ პროგრამების განსახორციელებლად **მის მიერ შექმნილი, ახალი ფინანსური ინსტრუმენტის ფორმირებით შესაძლებელი გახადა გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი შეღავათიანი სესხის სახით ფულადი რესურსების მოპოვება-მოზიდვა** კაპიტალდაბანდებათა უკუგების უსაფრთხო გარანტიებით.



ეს კონცეფცია-პროგრამა მრავალი წელია მუსირებს მეცნიერთა და საზოგადოების ფართო წრეებში და ქართველი ხალხი დიდი იმედით ელოდება მისი განხორციელებისთვის ხელისუფლების მხრიდან უპირველესი ნაბიჯის გადადგმას, ავტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიხედვით მისი შესრულება არც ისე რთულ პროცედურას წარმოადგენს ხელისუფალისთვის, რასაც პაატა გიორგაძის თანხმობით ექსკლუზიურად ვაწვდი თქვენს გაზეთს ფართო საზოგადოების გასაცნობად, რომ კიდევ ირწმუნოს ხალხმა ჩვენი ქვეყნისა და ერის რაობის შესახებ და იმედი მინდა იქონიოს, რომ იგი ღარიბ-ღატაკი ქვეყნის შვილი არაა.

ავტორისა და სტრატეგიულ პარტნიორთა საწყისი სამოქმედო გემა კი ასეთია:

ა) კონცეფცია-პროგრამის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების როგორც სამთავრობო, ასევე საპარლამენტო დარგობრივ-ეკონომიკური და საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტების ერთობლივი მონაწილეობით გამართულ სხდომებზე საკითხის განხილვისა და შესწავლის შემდგომ პროექტის „სახელმწიფო სტატუსის მქონე პროგრამად“ აღიარება, როგორც ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს კონკურენტუნარიანი უპიურატესობის ზრდის „ეკონომეტრული“ გარანტი.

ბ) კონცეფცია-პროგრამის განხორციელების მიზნით ხელისუფლების მხრიდან ოფიციალურად დანიშნული უფლებამოსილი უწყების ხელმძღვანელის სტრატეგიულ პარტნიორებთან პირდაპირი დიალოგის მომზადება და მათი მოლაპარაკებებში ჩართვა, ორმხრივი შეთანხმების მისაღწევად აშშ-სა და ევროპის ქვეყნებიდან მსხვილი საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენელთა საქართველოში ოფიციალური მოწვევის მიზნით.

გ) სახელმწიფოთაშორისო დონეზე ცნობილ ექსპერტ-სპეციალისტთა მონაწილეობით ჩარჩო-ხელშეკრულებისა და საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ქარტიით, სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის მომზადება და სპეციალური მიზნობრივი ფინანსური კომპანიის შექმნა, რომლის დირექტორი იქნება საქართველოს მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირი, ხოლო თანადირექტორი აშშ-ის საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომლებიც სასმელი წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოებასთან ერთობლივად გააკონტროლებენ ტრანზაქციების მიზნობრივ ხარჯვას, ინდუსტრიული და ახალი პორტ-ტერმინალების მშენებლობისათვის. აი ესაა ის ძირითადი სტრატეგია, რომელიც უნდა იკისროს ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისთვის, დანარჩენი გასატარებელი ღონისძიებები საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნების შემთხვევაში ძალზე მარტივად და სწრაფი ტემპით წარიმართება.

მიზნის მიღწევის გზებსა და უპირატესობებზე მნიშვნელოვანია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა „ქართველ მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი სასმელი წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია-პროგრამის“ განხორციელების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი კომისიის 2016 წლის 15 აპრილის სხდომაზე (ოქმი №-7) და რომელსაც ხელს აწერს აკადემიის 21 წევრი და ასევე 30 მოწვეული ექსპერტი, სულ 51 აკადემიკოსი და პროფესორი, იგი გადაეგზავნა საქართველოს მაშინდელ პრემიერ-მინისტრს ირაკლი კვირიკაშვილს რეაგირებისათვის, თუმცა, რაიმე გადაწყვეტილება მის მიერ ხელშემშლელი ბარიერების ხელოვნურად შექმნის გარდა, სამწუხაროდ, საზოგადოებას არ უგრძნია. სასიხარულოა დღევანდელი პრემიერ-მინისტრის შემართება და ზოგიერთი პარლამენტარების მონდომება საკითხის გააქტიურებისა და მისი დაინტერესების თაობაზე, მაგრამ საჭიროა მეტი გააქტიურება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის გადასარჩენად.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კომისიის რეკომენდაციები ემყარება საქართველოს არეალში არსებული ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო მარაგების მაკროეკონომიკურ კვლევებსა და ნაშრომებს, რითაც გამოვლენილი და დადასტურებულია მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსული პოტენციალის, მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების ეკონომიკური მნიშვნელობა და მისი გამოყენების ინოვაციური გზები ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ამ მიზნით, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შეჯერების საფუძველზე შედგენილია ბიზნეს-გეგმა „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია“, რომელშიც დასაბუთებულია, თუ როგორ გაიზარდოს ქვეყნის ეკონომიკა და ბიუჯეტი მოკლე დროში და როგორ შეიქმნას მრავალრიცხოვანი სამუშაო ადგილი, სახელმწიფოს როლი კი გამოხატულია სამეურნეო კომერციული საქმიანობის ფონზე მარეგულირებელი ბერკეტებისა და ხელშემწყობი ნორმატიული აქტების შექმნაში.

მთლიანობაში, აღნიშნული კონცეფციის ანალიტიკური შეფასება ეყრდნობა მასში წარმოდგენილი საკვანძო საკითხების დეტალური შესწავლის შემდგომ გაკეთებული დასკვნების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რასაც ამყარებს ექსპერტ-სპეციალისტთა მრავალგზის შესწავლისა და განხილვის საფუძველზე მიღებული საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის 2005 წლის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის 2006 წლის გადაწყვეტილებები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონცეფცია-პროგრამისა და მაკროეკონომიკური კვლევების ავტორის, პროფ. პაატა გიორგაძის მოხსენება განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის 2018 წლის 19 დეკემბრის გაფართოებულ სხდომაზე. ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები, რაც კონცეფციაშია გამოკვეთილი, შემდეგია: საქართველოს ეროვნული ეკონომიკის სწრაფი განვითარებისთვის სასმელი წყლის რესურსული პოტენციალის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორები, სასმელ წყალზე მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილების თანამედროვე მდგომარეობა და მისი მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების ინოვაციური გზები, **საქართველოს სატრანზიტო გზების განვითარება როგორც „მულტიპლიკატორის დამატებითი ეფექტი“ და ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია,** ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციიდან გამოსავალი, კონცეფცია-პროგრამით დასახული ღონისძიებათა განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, გენერალური ტვირთბრუნვის, დღეს არსებული წლიური 50-მლნ ტონა გამტარუნარიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზრდა-განვითარებისათვის ჭოროხის დელტასა და ნარიონალში ახალი პორტ-ტერმინალების მშენებლობა ქვეყნის შემოსავლების გაზრდისათვის და სხვა.

კონცეფციას თან ახლავს მეცნიერულად დასაბუთებული ადეკვატური რეკომენდაციები: სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნით საფუძველი ჩაეყრება ქვეყნის ყოველწლიურ ფულადი შემოსავლების ზრდას 12 მლრდ აშშ დოლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის 2.5 მლრდ დოლარით ზრდას, **წყლის ინდუსტრიის ამუშავებიდან მეშვიდე წელს დარგობრივ ეკონომიკაში რეინვესტირებული თანხებიდან შემოსავლები სწრაფად გაიზრდება და მეცხრე წელს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 51 მლრდ დოლარს მიაღწევს. მეათე წლიდან ეკონომიკურ პროექტებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა 400 ათასზე მეტს მიაღწევს, საშუალო ხელფასი კი 4 500 დოლარის ეკვივალენტი იქნება. პროგრამის განხორციელებით ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნება უმუშევრობისა და სიღარიბის არსებული მწვავე პრობლემები, შეჩერდება მიგრაციული პროცესები, რადიკალურად გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა;**

შეიქმნება ნავთობისა და გაზის საბადოების მფლობელი წარმატებული არაბული ქვეყნების მსგავსი მოდელი იმ უპირატესობით, რომ სასმელი წყლის რესურსები არამილევადი, მუდმივად განახ-

ლებადი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტია; **არსებითად გაიზრდება მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა, შეიქმნება მოსახლეობის საშუალო ფენა, საფუძველი ჩაეყრება ერთიან, ძლიერ, დამოუკიდებელი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებას,** რითაც საქართველო მშვიდობიანი და მდგრადად განვითარებადი რეგიონალური ეკონომიკური სივრცით ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მნსოფლიო თანამეგობრობაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბუნებრივი სასმელი წყლის უზარმაზარი რესურსული პოტენციალის გამოყენება საქართველოს მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყნად გადააქცევს, მისი გამოუყენებლობა კი ერის წინაშე ჩადენილი გამოუსწორებელი, საშინელი დანაშაული იქნება. მით უმეტეს, რომ ამერიკელი სტრატეგიული პარტნიორები მზად არიან, საქართველოს სასმელი წყლის ინდუსტრიისა და შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ასაშენებლად ეტაპობრივად დახარჯონ 5 მლრდ აშშ დოლარი, ქართული მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გატანისა და იქ ადგილის დამკვიდრების ვალდებულებით, რაც კონცეფცია-პროგრამების, დარგობრივი ეკონომიკისა და მაკროეკონომიკური კვლევების ინოვაციური მოდელით იქნება უზრუნველყოფილი.

დიახ!-ეს მართლაც გრანდიოზული პროექტია, რომლის განხორციელებაც საქართველოს უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას მოუხსნის, ხოლო მსოფლიოს „წყალმოწყურებულ“ ქვეყნების 2/3-ზე მეტ მოსახლეობას, რომელიც კატასტროფულად მზარდი დეფიციტის პირობებშია, სასიცოცხლო შვებას მოუტანს, საქართველოს კი დიდძალ ფულად შემოსავლებს და მოგებას შესძენს.

დიდად სამწუხაროა, რომ საქართველოს აღმავლობისა და გაბრწყინების ეს პროექტი, ქვეყნის მეტად რთულ შეჭირვების ჟამს ასე დიდი ხანია, უმოქმედოდ დევს. რომლის ამოქმედებას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება, რაც აქამდე არ გამოვლენილა და არც არავინ უწყის როდის გამოვლინდება.

საზოგადოება ხშირად სვამს ერთადერთ კითხვას, რატომ არ გვაქვს ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, ყოველმხრივ დასაბუთებული კონცეფცია-პროგრამის ამოქმედების საშუალება, **ვინ და რა გვიშლის ხელს ამ გრანდიოზული საქმის განხორციელებაში, ვინ და რატომ ბლოკავს მას, ვინ როდის გასცემს ჭეშმარიტ პასუხს ამ მრავალმნიშვნელოვან კითხვებზე? აი ამ პასუხს ელის მოუთმენლად ქართველი საზოგადოება, სრულიად საქართველო და მსოფლიოს ბევრი დაინტერესებული ქვეყანა. „ვიჩქაროთ, ვინემ ურემი ლაფში ამობრუნებულა“.**

კონცეფცია-პროგრამის საჯარო განხილვები დაიწყო საქართველოს რეგიონების ყველა მუნიციპალურ ერთეულებში გამართულ საყოველთაო სახალხო მოძრაობის დამფუძნებელ ყრილობებზე, თითქმის საქართველოს ყველა რეგიონში პროგრამამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, რამაც ხვალინდელი დღისადმი იმედით მოცული ერთიანობის განცდის უნარი აღადგინა და გააცოცხლა მოსახლეობის უდიდეს ნაწილში. ხალხი ერთ მუშტად შეიკრა და გაერთიანდა ქვეყნის აღმშენებლობისთვის დასახული მიზნის მისაღწევად, ამით საფუძველი ჩაეყარა ახალ ეროვნულ-ეკონომიკურ სახალხო მოძრაობის ფორმირებას და იგი მალე მთელ საქართველოს მოედება ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. მხარდამჭერთა რაოდენობა შესაბამისი დამადასტურებელი ხელმოწერებით მალე მილიონს გადააჭარბებს.

რევაზ გოგოხია,



საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში.

გარემოს დაცვის ომბუდსმენი დევიდ მორისონი გახდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გარემოსდაცვითი ომბუდსმენი წარადგინა. პრემიერის ინიციატივით, გარემოსდაცვითი უფლებების და ინტერესების დასაცავად, ახალი ინსტიტუტი შეიქმნა, რომელსაც დევიდ მორისონი უხელმძღვანელებს.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ომბუდსმენის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „მწვანე პოლიტიკის“ ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვანია.

დევიდ მორისონი მრავალწლიან საქმიანობას სამართლებრივ და ფინანსურ საკითხებზე მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ეწეოდა, 2008 წლიდან კი საქართველოში აქტიურად ჩაერთო გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში.

2008-16 წლებში დევიდ მორისონი ხელმძღვანელობდა კავკასიის ბუნების დაცვის ფონდს (CNF).სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები დაცული ტერიტორიების (ვაშლოვანის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ალგეთის ეროვნული პარკი) ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებებით.

პროექტის ფარგლებში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დაცულ ტერიტორიაზე მომუშავე ადამიანების შესაძლებლობები. განახორციელა მნიშვნელოვანი ინიციატივა — დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა.

საპენსიო დანაზოგს 1 მილიონი ლარი სარგებელი დაერიცხა

საპენსიო სააგენტოს ინფორმაციით, საპენსიო დანაზოგს 1 მილიონი ლარი სარგებელი დაერიცხა.

„მოქალაქეთა მომართვიანობა მაღალია და ისინი ძირითადად საპენსიო სააგენტოს კონსულტაციისათვის მომართავენ. ადგილზე მოსული დასაქმებულების უმეტესი ნაწილი აზრს იცვლის, სქემაში დაბრუნების მსურვიელი საკმაოდ ბევრია. კანონი გვაძლევს უფლებას, მსურველები ხელმეორედ გავაწევრიანოთ, იმისათვის რომ მოქალაქეებს სრულფასოვანი დანაზოგის გაკეთების შანსი მიეცეთ. საპენსიო სქემაში ხელმეორედ გასაწევრიანებლად მოქალა-

ქეებმა უნდა მიმართონ დამსაქმებლი ორგანიზაციის ბუღალტერს“, — აცხადებენ საპენსიო სააგენტოში. ამ მომენტისთვის საპენსიო სქემაში ჩართულია 761,454 დასაქმებული, აკუმულირებულია 200 მილიონი ლარი, დანაზოგს უკვე დაერიცხა სარგებელი 1 მილიონი ლარის ოდენობით, საპენსიო სქემიდან კი მოქალაქეთა მხოლოდ 2% გავიდა.სქემაში ჩართულია 50 000-ზე მეტი კომპანია.

რა მაინძილია საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკებს შორის?

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის არსებული დონის შენარჩუნების შემთხვევაში, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, დაახლოებით 15 წელიწადში მიაღწიოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ახლანდელ დონეს. ერთია ეკონომიკური ზრდა და მეორე მოსახლეობის ცხოვრების დონე. ამ კუთხით ევროკავშირისა და საქართველოს მოქალაქეებს შორის ჩამორჩენა ალბათ უფრო მეტია. ყოველ შემთხვევაში სავალუტო ფონდში ამბობენ, რომ საქართველომ 3-წლიანი კრიზისი გადაიტანა და ახლა ქვეყანაში შედარებითი სტაბილურობის დროა.

სსფ-ის ანგარიშით, მთლიანი შიდა პროდუქტით ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მაჩვენებლები თითქმის თანაბარია. თუმცა, ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, მიზნობრივ მაჩვენებლამდე საქართველოს 15 წელი აშორებს, სომხეთს — 20 წელი, აზერბაიჯანს კი — თითქმის 50 წელი. ყველაზე ახლოს საშუალო ევროპულ მაჩვენებელთან ყაზახეთი და თურქმენეთი არიან, რომლებსაც მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა 10 წლამდე პერიოდში შეუძლიათ.

სავალუტო ფონდის შეფასებით, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა დასტაბილურდა და სახელმწიფოებმა 2014-16 წლების საგარეო შოკი დაძლიეს, თუმცა ზრდა რეგიონში ჯერ კიდევ ძალიან დაბალია იმისთვის, რომ მოქალაქეთა ცხოვრების დონე ამაღლდეს.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საქართველოში მსხვილი ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში შარშან უნდა დაწყებულიყო, თუმცა გადაიდო და წელს გააქტიურდება, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებს, ასევე შიდა მოთხოვნის შესუსტებას დააბალანსებს.

ქართველი ეკონომისტები გარკვეულწილად იზიარებენ სსფ-ს შეფასებას ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის ზრდის ტემპის კუთხით, თუმცა აქ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. ზოგიერთი თვალსაზრისით ევროპასთან ჩამორჩენა სულაც არ არის საგანგაშო, მაგრამ არის მიმართულებები, სადაც სხვაობა მართლაც ძალიან დიდია.

„ევროპის ყველაზე სუსტი რგოლი — ბულგარეთი, რომ ავიღოთ, ამ ქვეყანასთან ჩამორჩენა დაახლოებით 13-14 წელია, ესეც იმ შემთხვევაში, ამ ტემპით თუ წავალთ წინ, მაგრამ ბულგარეთიც ხომ დღევანდელ დონეზე ვერ გაჩერდება. ჩვენ გვინდა ბულგარეთზე გაცილებით მაღალი, საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე 1,5-2-ჯერ მაღალი ტემპი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შერეულ ფორმატში ვართ ჩამორჩენის მხრივ. მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიებით, ციფრულ ტექნიკაზე მიწვდომით ისეთსავე დონეზე ვართ, როგორც სხვა მოწინავე ქვეყნებში. აქ ჩამორჩენაზე ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ სხვაობა შემოსავლებში. დავუშვათ, ევროპელ ახალგაზრდებს რამდენად აქვთ ქვეყნებში მოგზაურობის საშუალება, შესაბამისი პრაქტიკული შესაძლებლობა და ამ მხრივ ჩვენს მოქალაქეებს რა საშუალება მოეპოვებათ, რამდენად იკმაყოფილებენ ისინი მოთხოვნილებებს.

მეორე მხრივ, შრომის წარმოებას თუ გადავხედავთ, ტექნოლოგიები აგრარულ სექტორში გაცილებით დაბალია, ვიდრე ევროპულ ქვეყნებში, მაგრამ მოხმარების მხრივ ჩვენი მდგომარეობა არც ისე საგანგაშოა. ბოლო მონაცემის მიხედვით, 1,6 მლრდ ფულადი გზავნილი შემოდის ქვეყანაში და ეს ემსახურება სწორედ მიმდინარე მოთხოვნილებების უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილებას“, — ამბობს ცნობილი სტატისტიკოსი, პროფესორი **სოსო არჩვაძე.**

ბექა დანელია

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲡ... ᲘᲐᲠᲐᲚᲘ!

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲛᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ!

ᲐᲨᲨ, ჩინეთი, საუდის არაბეთი, ინდოეთი და საფრანგეთი შეიარაღების შესყიდვაზე მეტს ხარჯავენ, ვიდრე მსოფლიოს ყველა დანარჩენი სახელმწიფო, ერთად აღებული. ამასთან, რუსეთი თავდაცვითი ხარჯების კუთხით მსოფლიო ლიდერების ხუთეულში აღარ შედის — გასულ წელს მისი ხარჯები 3,5%-ით შემცირდა, თუმცა რეალურად, არაფერი შეცვლილა და ყველაფერში „დამნაშავე“ ვალუტის კურსებს შორის სხვაობაა, — ნათქვამია „სტოკჰოლმის მსოფლიო პრობლემების კვლევის ინსტიტუტის (SIPRI) ახალ მოხსენებაში.

დოკუმენტის თანახმად, 2018 წელს მთელ მსოფლიოში იარაღისა და შეიარაღების შეძენაზე 1 ტრილიონ 322 მლრდ დოლარი დაიხარჯა, რაც 2,6%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

ᲐᲨᲨ: ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲖᲠᲓᲐ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲖᲠᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲛᲐ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ. შტატები შეიარაღებაზე მსოფიოს ყველა სხვა ქვეყანაზე მეტს ხარჯავენ და 2018 წელს თითქმის იმდენივე დახარჯეს, რამდენიც რეიტინგში მეორედან მერვე პოზიციებზე გასულმა ქვეყნებმა, ერთად აღებულმა.

„წლევანდელი 4,6%—იანი ზრდა პირველია ბოლო 7 წლის განმავლობაში. აშშ თავისი ჯარის მოდერნიზების ყოვლისმომცველ პროგრამას ახორციელებს და უკვე შეუდგა მის რეალიზებას. ჩვენი შეფასებით, უახლოესი 20 წლის განმავლობაში შტატები როგორც ჩვეულებრივ, ისე ბირთვულ იარაღზე 1,8 ტრილიონ დოლარს დახარჯავს“, — უამბო „დოიჩე ველეს“ პროექტის ხელმძღვანელმა ნან ტიანმა. SIPRI-ს მოხსენების თანახმად, სამხედრო ხარჯების მიხედვით პირველ სარეიტინგო ხუთეულს აშშ-სთან ერთად, ჩინეთი, საუდის არაბეთი, ინდოეთი და საფრანგეთი ადგენენ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ: ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ რეიტინგში მხოლოდ მე-6 ადგილი უკავია და ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად ვერ მოხვდა პირველ ხუთეულში.

თუმცა როგორც ნან ტიანი განმარტავს, ქვეყანას 2018 წელს თავდაცვითი ხარჯები არ შეუმცირებია, უბრალოდ SIPRI-ს მოხსენებაში ციფრები აშშ დოლარებში ითვლება და რუსეთის სამხედრო ხარჯების 3,5%-იანი შემცირება მხოლოდ და მხოლოდ ინფლაციას უკავშირდება.

„2018 წელს რუსულ რუბლში იმდენივე დაიხარჯა, რამდენიც წინა წელს. თუმცა ზოგადად, რუსეთის სამხედრო ხარჯები 2016 წლიდან მოყოლებული, მცირედით პერმანენტულად იკლებდა“— დასძენს მკვლევარი.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝ�პᲐ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ

SIPRI-ს მოხსენების თანახმად, რუსეთის სამხედრო ხარჯები შეშფოთებას იწვევს მის მეზობლად მდებარე ევროპულ სახელმწიფოებში; რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი დაძაბულობას აღრმავებს და სამხედრო ხარჯების ზრდას იწვევს.

უკრაინამ 2018 წელს ამ მიმართულებით 4,8 მლრდ დოლარი დახარჯა, რაც 21%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

ბულგარეთმა, ლატვიამ, ლიეტუვამ, რუმინეთმა და პოლონეთმა 2018 წელს საკუთარი სამხედრო ხარჯები ასევე მნიშვნელოვნად გაზარდეს საშიში მეზობლისგან მომავალი საგრძნობი საფრთხისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

აღმოსავლეთ ევროპა სამხედრო ხარჯების რეიტინგში პირველ ათეულში შედის.

ათეულში არიან ასევე ბრიტანეთი და გერმანია. ამ უკანასკნელმა 2018 წელს სამხედრო მიმართულებით ხარჯები ასევე გაზარდა, 2025 წლისთვის კი ფედერალური მთავრობა სამხედრო ხარჯების მშპ-ის 1,5%-მდე გაზრდას გეგმავს (სადღეისოდ მისი წილი 1,2 %-ს შეადგენს, მაშინ, როცა გერმანიის ნატოელი პარტნიორი აშშ ამ ხარჯების მშპ-ის 2%-მდე გაზრდას ითხოვს).

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკას სამხედრო ხარჯების მსოფლიო რეიტინგში უდავო მეორე ადგილი უკავია. 2018 წელს პეკინმა იარაღისა და შეიარაღების შესყიდვასთან ერთად ჯარის მოდერნიზებაზე 250 მლრდ დოლარი დახარჯა და ბოლო 10 წლის განმავლობაში მისი სამხედრო ბიუჯეტი 83%-ით გაიზარდა.

როგორც SIPRI-ს ექსპერტები აღნიშნავენ, ჩინეთს არ სურს, აშშ რეგიონსა და მეზობელ სახელმწიფოებს მეტისმეტად მიუახლოვდეს, უმსხვილეს მოთამაშეებს შორის დიდი დაძაბულობაა, მეორე მხრივ კი, უდავოდ, აშშ-ის შეიარაღების მოდერნიზებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩინეთისთვის, ისე რუსეთისთვის.

„მე ამას გამალებულ შეიარაღებას ვერ დავარქმევდი, თუმცა ეს სახლმწიფოები დიდ ფულს ხარჯავენ არმიისა და იარაღის მოდერნიზებაზე, გადადიან უფრო მძლავრ და თანამედროვე იარაღზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში ძალიან ძვირია; მათ ახალ არსენალში სულ უფრო ხშირად ვხვდებით შეიარაღების ავტონომიურ სისტემებს, კიბერ და ბიოლოგიურ იარაღს. ცოტა ხნის წინ SIPRI-მ მსოფლიო ბიოლოგიური იარაღის წარმოების ახალი ტექნოლოგიების მძლავრი განვითარების შესახებ გააფრთხილა“, — აღნიშნავს ნან ტიანი.

ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ გაიაფებისა და შეიარაღების ხარჯების 6,5%-ით შემცირების მიუხედავად, საუდის არაბეთმა SIPRI-ს 2018 წლის რეიტინგში მე-3 ადგილი დაიკავა. ნავთობის მომპოვებელი სახელმწიფო შეიარაღებაზე 67,6 მლრდ დოლარს ხარჯავს და ექსპერტების შეფასებით, წარმოადგენს მსოფლიოში იარაღის უმსხვილეს იმპორტიორს.

გერმანიის მთავრობამ კოალიციურ შეთანხმებაში შეიტანა პუნქტი ერ რიადისთვის იარაღის ექსპორტის შეწყვეტის თაობაზე, რისი მიზეზიც საუდის არაბეთის იემენის ომში მონაწილეობა გახდა. 2018 წლის ნოემბერში ჟურნალისტ ჯამალ ჰაშოგის მკვლელობის შემდეგ მთავრობამ საუდის არაბეთში იარაღის ექსპორტი აკრძალა, თუმცა ამ აკრძალვის რეალიზება სერიოზულ სირთულეებს აწყდება: შეიარაღების გერმანული სისტემების დიდ ნაწილს ქვეყანა აწარმოებს იმ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით, სადაც ბერლინი ექსპორტს ვერ აკრძალავს.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲔᲑᲐᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ დღის წესრიგში დგება იარაღის ექსპორტის საკითხი, **ფედერალურ მთავრობას მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნება თურქეთთან.** ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დარღვევით გამოწვეული უკმაყოფილება და სირიაში ქურთების საწინააღმდეგო მოქმედება ბერლინში ანკარისთვის გერმანული იარაღის მიწოდების კრიტიკას იწვევს. მიუხედავად ამისა, თურქეთი საკუთარი ჯარის მოდერნიზებას განაგრძობს და გუსულ წელს ხარჯები 24%-ით გაზარდა, რის ხარჯზეც ამჟამად მსოფლიო რეიტინგში მე-15 პოზიციაზე გავიდა.

„თურქეთი სულ უფრო მეტს ხარჯავს სწრაფად მზარდ სამხედრო პროგრამაზე. ქვეყანა ძალიან ბევრ იარაღს ყიდულობს და ამასთანავე, სირიაში ქურთული დაჯგუფებების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას აფართოებს, რაც ასევე ძვირი ჯდება“, — აღნიშნავს ნან ტიანი.

ᲛᲝᲡᲘᲡᲬᲚᲔ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ — ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ ᲓᲐ �პᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ **სამხედრო ხარჯებს ზედიზედ მეოთხე წელია, ზრდის და SIPRI-ს რეიტინგში მეოთხე პოზიციას იკავებს 66,5 მლრდ დოლარიანი მაჩვენებლით. ქვეყანა შეიარაღებაზე თითქმის 6-ჯერ მეტს ხარჯავს, მის მეზობელ და მოსისხლე მტერ პაკისტანთან შედარებით. ორი ბირთვული სახელმწიფო საკუთარი ჯარების მოდერნიზებას აგრძელებს და ვითარება ქაშმირში — ორი ქვეყნის დაპირისპირების საგნად ქცეულ მხარეში მთელი რეგიონისთვის სარისკოდ რჩება.**

აზიაში შეიარაღებაზე ხარჯები საგრძნობლად იზრდება. SIPRI-ს მოხსენების თანახმად, ეს ტენდენცია ბოლო 30 წლის განმავლობაში ნარჩუნდება, ხოლო ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის, ასევ პირველ ათეულში შემავალი სხვა სახელმწიფოების ხელისუფლებებმა იგი კიდევ უფრო გააძლიერეს.

ᲐᲤᲠᲘᲙᲐ: ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲞᲔᲠᲛᲐᲜᲔᲜᲢᲣᲚᲐᲓ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲪᲔᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ 2018 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ 4-ᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲛ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲰᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲗ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ 45-ᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛ.

ასე, მაგალითად, სუდანმა სამხედრო შესყიდვები 49%-ით შეამცირა, ანგოლამ — 18%-ით.

თუმცა როგორც ნან ტიანი აღნიშნავს, არსებობს ვარაუდი, რომ სუდანი ხარჯავს საკმაოდ ბევრ ჩრდილოვან — არა ბიუჯეტიდან აღებულ თანხას, რომლის მოძრაობისთვისაც თვალის მიდევნება ძნელია.

„არსებობს პროგრამები, რომლის ფარგლებშიც ნავთობიდან მიღებული შემოსავალი პირდაპირ სამხედროებთან მიედინება, თუმცა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ამის დამტკიცება უჭირთ. სუდანის გარდა, მსგავსი სისტემები შესაძლოა, გამოიყენებოდეს სამხრეთ სუდანსა და ანგოლაშიც“, — აცხადებს ნან ტიანი.

239 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ — ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲖᲔ

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ შედგენისას SIPRI არ ითვალისწინებს ხარჯებს საიდუმლო ოპერაციებზე, ვინაიდან მოხსენებაცა და მისი შესაბამისი მონაცემთა ბაზაც მხოლოდ და მხოლოდ ღია ოფიციალური წყაროებიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იქმნება. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ რეალური სამხედრო ხარჯები აჭარბებს იმ 1822 მლრდ დოლარს, რომელიც SIPRI-მ მოითვალა.

თუმცა თუ ამ თანხას დავეყდნობით, დედამიწის ყოველ მცხოვრების შეიარაღებაზე დახარჯული 239 დოლარი მოდის.

„ბევრი ადამიანისთვის ეს წლიური შემოსავლის 60%-ს შეადგენს სიღარიბის ამჟამინდელი — დღეში ერთდოლარიანი ზღვრის გათვალისწინებით“, — დასძენს ნან ტიანი.

კანონი მიიღეს, ქალაქი კი მაინც ბინძურდება!

„რისთვის გავიარეთ ტექდათვალიერება?“

ძვეძანაში ტექდათვალიერების პროცესი თითქოს მოწესრიგდა, მაგრამ ყველა ხედავს, რომ გზებზე კვლავ გაუმართავი მანქანები დადიან. განსაკუთრებულ პროტესტს იწვევს გამონაბოლქვი. უამრავია ისეთი მანქანა, რომელიც მუქი ფერის გამონაბოლქვს უშვებს და ამით გარემოზე მიყენებული ზიანი არ მცირდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წლის პირველი კვარტლის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკა გამოაქვეყნა.

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, საანგარიშო პერიოდში 1 646 საჯარიმო ქვითარი გამოიწერა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისთვის, რომელსაც დადგენილი წესით პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არ ჰქონდა გავლილი.

აღსანიშნავია, რომ იანვარ-მარტში გამონაბოლქვის გამო, მხოლოდ 1 ჯარიმაა გამოწერილი. კერძოდ, საჯარიმო ქვითარი გამოწერილია იმ სატრანსპორტო საშუალების მართვაზე, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც დადგენილ ნორმას აჭარბებს. ჯარიმა თბილისშია გამოწერილი.

„ბიპიენის“ ცნობით, ავტომობილი მუქი გამონაბოლქვის შემთხვევაში ტექინსპექტირებას ვეღარ გაივლის. ამის შესახებ ცვლილება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეგლამენტში უკვე შევიდა. კერძოდ, ცვლილების თანახმად, ბენზინისძრავიანი სატრანსპორტო საშუალება დახარვეზდება, თუკი ვიზუალური შემოწმებისას მოჭარბებული კვამლის შეფერილობა იქნება შავი, ნაცრისფერი ან/და ლურჯი. ამასთან, ანალოგიურად შემოწმდება დიზელისძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიც.

საზოგადოება ტექნიკური ინსპექტირების ხარვეზებს ამჩნევს. მოსახლეობა ხედავს, რომ ქალაქსა თუ რეგიონებში თავისუფლად გადაადგილდებიან ისეთი მანქანები, რომელთაც მუქი ფერის გამონაბოლქვი აქვთ.

მომღერალი **ნინი ბადურაშვილი** რამდენიმე დღის წინ ღიად აპროტესტებდა ტექდათვალიერების პროცესს: **„ვიცი, ამ თემაზე ბევრს ვწერ, მაგრამ არ შემიძლია, არ ვიკითხო კიდევ ერთხელ! რისთვის გავიარეთ ტექდათვალიერება, თუ მაინც ყველა ტრანსპორტი ბოლავს და მონჯღრეულია?!“**

სოციალურ ქსელში გავრცელებულ ამ მოსაზრებას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრი წერდა, რომ ყველა მანქანა უპრობლემოდ გადის ტექდათვალიერებას, თუკი მძღოლი 60 ლარს გადაიხდის.

„საქართველოს ალიანსი – უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე **ეკა ლალიაშვილი** ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული ხარვეზების მოსაგვარებლად 2019 წლის რამდენიმე მთავარ გამოწვევას ასახელებს, მათ შორის: ტექინსპექტირების ერთიანი ელექტრონული ბაზის არარსებობა; გამონაბოლქვის კონტროლი გზაზე; პერსონალის კვალიფიკაცია; მძღოლების არაინფორმირებულობა/დაბალი ცნობიერება;

ლალიაშვილი მიიჩნევს, რომ ავტოპარკის გაჯანსაღების მიზნით, საჭიროა ახალი ავტომობილების აქციზის გადასახადის შემცირება, ძველი ტრანსპორტის უტილიზაცია. ავარიების თვალსაზრისით, ასევე, დიდ პრობლემებს ქმნის უხარისხო საბურავები და სამუხრუჭე ხუნდები, რისთვისაც ნაწილების ხარისხის კონტროლია გასაძლიერებელი.

ლალიაშვილი ხაზს უსვამს ავტომობილის აქციზის ტარიფსაც. მისი ინფორმაციით, ახალი ავტომობილის აქციზი უფრო ძვირია, ვიდრე 7-8 წლის წინ გამოშვებული მანქანის. მაგალითად, 1 წლის ავტომობილზე (1500 კბ/სმ-იანი ძრავით) აქციზის ფასია 2250 ლარი, ხოლო 6-8 წლის წინანდელი ავტომობილის - 1200 ლარი.

ბექა დანელია

ინტერნეტძარცვა

ბანკი გულგრილ პოზიციას იკავებს!

„ბოლო პერიოდში გახშირდა თაღლითების მიერ ყალბი ვებგვერდების საშუალებით ფინანსური ინსტიტუტების მომხმარებლების პირადი მონაცემების მოპარვის ფაქტები. საუბარია ისეთი მონაცემების მოპოვებაზე, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მომხმარებლის ფულად სახსრებზე წვდომის და ინტერნეტგადახდების განხორციელება“, – წერია საქართველოს ეროვნული ბანკის 22 აპრილის განცხადებაში, რომელშიც მომხმარებლებს ინტერნეტბანკის გამოყენების ან ინტერნეტ-გადახდების განხორციელებისას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.



იმავე დღეს, ამ განცხადების გამოქვეყნებამდე თავის ფეისბუქის გვერდზე საბანკო ანგარიშების ძარცვის შესახებ წერდა ეკონომიკის ექსპერტი რამაზ გერლიანი. „დილის საუბრებში“ ის მომხდარზე ყვება:

„ვრცელდება რეკლამები, რომლებიც იგივეა, რაც საბანკო სისტემის გვერდი. პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება. მას შემდეგ, რაც გექნებათ მცდელობა, ისარგებლოთ თქვენი საბანკო ანგარიშით, ხდება მონაცემების დუბლირება და გამოყენება. ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. კონკრეტულად რამე ნიშნით რომ ამოიცნო, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

სამწუხაროდ, ამას მივხვდი ერთი დღის შემდეგ, როცა ანგარიშზე შევედი და დაცარიელებული დამხვდა. ჯერ ტექნიკური ხარვეზი მეგონა. დავუკავშირდი ბანკის წარმომადგენელს, რის შემდეგაც გაირკვა, ადგილი ჰქონდა გადარიცხვებს, მათ შორის, იმავე ბანკის სივრცეში“.

რამაზ გერლიანი ამბობს, რომ ბანკის მხრიდან შესაბამისი საფრთხის შესახებ ინფორმირების შემთხვევაში, გაცილებით ფრთხილად იქნებოდა. ექსპერტი თვლის, რომ კლიენტების დაცულობა ბანკის პასუხისმგებლობაა. ის უნდა იყოს დაინტერესებული მომხმარებლების ინფორმირებითაც და დანაშაულის შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებთან კომუნიკაციითაც, რომ ასეთი დანაშაული გაიხსნას.

„სამართალდამცავებს მე დავუკავშირდი და მივაწოდე შესაბამისი ამონაწერები - სადაც ჩანს, რომელ ანგარიშებზეა გადარიცხული. წარვუდგინე ტელეფონის ნომერი, რომელიც გამოიყენებოდა ტრანსაქციის დასადასტურებლად. მიიღეს განაცხადი და იმავე დღეს გადაუგზავნეს სპეციალურ განყოფილებას. თუმცა, უკუკავშირი დამატებითი ინფორმაციისა და დეტალების შესახებ მათგან ჯერ არ ყოფილა. იგივე შემიძლია ვთქვა ბანკზეც. ბანკი გულგრილ პოზიციას იკავებს. ამ ხნის განმავლობაში მე მქონდა კომუნიკაცია. ერთი კვირაა ველოდები მათ გადაწყვეტილებებს და არაფერი ჩანს. თუ სამართალდამცავები მოგვმართავენ, ვიმოქმედებთო. მე ვუთხარი, რომ ისინი არიან ვალდებული, გამოიჩინონ ინიციატივა და მიმართონ სამართალდამცავებს“.

იმავე კვირაში რამაზ გერლიანის ანგარიშის გატეხვის მცდელობა იყო სხვა ბანკშიც, სადაც ეს მცდელობა დროულად გამოვლინდა და ბანკმა დაბლოკა მომხმარებლის ანგარიში, დაუკავშირდა მას და შეატყობინა მომხდარი.

რამაზ გერლიანი ამბობს, რომ ბანკს დღემდე არ შეუჩერებია ის რეკლამა სოციალურ ქსელში, რომლის ყალბი ანალოგის გამოც მოხდა მისი მონაცემების დუბლირება და ანგარიშიდან თანხის მოპარვა თაღლითების მიერ:

„არ შეუწყვეტიათ რეკლამირება სოციალური ქსელით. ანუ, ორი რეკლამა შეიძლება შეგხვდეს – ყალბი და ნამდვილი. ვერ განასხვავებ. მინიმუმ, მომხმარებლის ინფორმირება და დროებით რეკლამის შეწყვეტა უნდა მომხდარიყო.

რომც არ ყოფილიყო ფინანსების მიტაცება, ბანკი უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, რომ რეკლამის დუბლირება არ მომხდარიყო. პირველ რიგში, ეს არის ბანკის ინტერესი – მისი იმიჯი, მის მიმართ ნდობა“.

ნინო გელაშვილი

ეროვნულმა ბანკმა ვალუტის გადამცვლელ 25 პუნქტს რეგისტრაცია გაუუქმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დედაქალაქის მასშტაბით, მიმდინარე შემოწმებების ფარგლებში, „ვალუტის გადამცველი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ მოთხოვნათა დარღვევების გამო, 25 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს რეგისტრაცია გაუუქმა, ხოლო 10 პუნქტს ფულადი ჯარიმა დააკისრა.

დედაქალაქის ტურისტულ ზონებში მდებარე სავალუტო პუნქტები მომხმარებლებს სათანადოდ არ აწვდიდნენ ინფორმაციას ვალუტის გადაცვლის ოპერაციების შესახებ. კერძოდ, სავალუტო პუნქტებს არ ჰქონდათ მითითებული ინფორმაცია საყურადღებო კურსის შესახებ, რითაც მომხმარებელი შეგნებულად შეჰყავდათ შეცდომაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის რეგულირების სრულყოფისა და მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, სავალუტო პუნქტები ვალდებულნი არიან, მომსახურების გაწევისას მომხმარებელს მიაწოდონ სრული ინფორმაცია როგორც ვალუტის საყურადღებო გაცვლითი კურსისა და მომსახურების საკომისიოს (ასეთების არსებობის შემთხვევაში) ოდენობის, ისე განხორციელებული ოპერაციის 30 წუთში გაუქმების შესაძლებლობის შესახებ. ასევე, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტრანზაქციის გაუქმება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 5000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში.

სოხუმში მე-2 საშუალო სკოლა დაიწვა!

რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, სოხუმში მე-2 საშუალო სკოლაში გუშინ დილით ხანძარი გაჩნდა, მეხანძრეებმა ცეცხლი ჩააქრეს, თუმცა როგორც დე ფაქტო საგანგებო სიტუაციების უწყება იტყობინება, ცეცხლმა სახურავის კონსტრუქცია დააზიანა და არსებობს მისი ჩამონგრევის საფრთხე. მთლიანობაში ხანძარი 1500 კვ.მ-ზე იყო გავრცელებული. ხანძრის მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია.

ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲑᲐᲥᲝᲡ ᲒᲠᲐᲜᲓ ᲡᲚᲔᲛᲖᲔ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲔᲑᲔᲜ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ გახდა საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 10-12 მაისს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში დაგეგმილ გრანდ სლემზე გამოვა.

მომავალ შეჯიბრზე 61 ქვეყნის წარმომადგენელი 546 ძიუდოისტია (322 კაცი+224 ქალი) დარეგისტრირებული, რომელთა შორის 11 ქართველიცაა.



ვაჟთა შორის ჩვენებურთაგან თემურ ნოზაძე, ჯაბა პაპინაშვილი (ორივე – 60 კგ.), ტატო გრიგალაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე – 81 კგ.), ლაშა ბექაური, ავთანდილ ჭრიკიშვილი (ორივე – 90 კგ.), გიორგი ბერიაშვილი, ონისე სანებლიძე (ორივე – 100 კგ.), გელა ზაალიშვილი და გიორგი ზაქარიაძე (ორივე +100 კგ.) იასპარეზებენ, ქალებში კი – მხოლოდ ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (52 კგ.).

შეამჩნევდით, რომ საქართველოს ნაკრები ძირითადად ახალგაზრდა ძიუდოისტებითაა წარდგენილი, მამაკაცთა 66 და 73 კგ-მდე წონით კატეგორიებში კი მონაწილენი საერთოდ არ გვყავს.

ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ

ᲛᲔᲡᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲝᲑᲐ

ᲙᲠᲣᲘᲤᲘ, მარადონა, შუსტერი, რივალდო, რომარიო, რონალდინიო, კუმანი, ლაუდრუპი, სტოიჩკოვი, კრანკლი, სიმონსენი, ლინეკერი, ნეესკენსი...

ეს მხოლოდ ნაწილია ფეხბურთის ჯადოქართა იმ თანავარსკვლავედისა, „ბარსელონას“ ბროწეულისფერი მაისური რომ მოურგია.

მეტიც: მათგან პირველმა – „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ იოჰან კრუიფმა კატალონიურ გრანდში ის ფილოსოფია დანერგა, აგერ უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში რომ განაპირობებს „კამპ ნოუს“ ბინადართა ტრიუმფებს.

...მაგრამ ამჟამად ესპანეთის 26-გზის ჩემპიონის ღირსებას იცავს არგენტინელი, რომელმაც თვით თავისი გენიალური წინამორბედი და თანამემამულე, ბევრის აზრით – ფეხბურთის მეფე, სამშობლოში რელიგიად(!) მიჩნეული დიეგო არმანდო მარადონაც კი დაჩრდილა და ერთ-ერთი ამასწინანდელი ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგების მიხედვით მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს (თანაც, ლეგენდარულ მუჰამედ ალისა და მაიკლ ჯორდანს გაუსწრო).

საუბარია ლეო მესიზე, ვინც საკუთარი საგოლე კონვეიერი უკვე 600 გატანილ ბურთამდე აიყვანა, რაც მის მარადიულ კონკურენტ კრისტიანუ რონალდუს პირადი მონაგრის მსგავსად, აბსოლუტური საკლუბო რეკორდია, ოღონდ, ორი წლით უმცროსი ოპონენტისგან განსხვავებით, პორტუგალიელს საამისოდ ერთბაშად 4 გუნდის – „სპორტინგის“, „მანჩესტერის“, „რეალისა“ და „იუვენტუსის“ გულშემატკივართა გახარება დასჭირდა.

და კიდევ – საოცარი საგაზაფხულო დამთხვევა: პირენეელთა ლიდერმა საკუთარ მიღწევას სათავე 2005 წლის პირველ მაისს „ალბასეტესთან“ დაუდო და წერტილ-მძიმეც ზუსტად 14 წლის შემდეგ, ანუ 2019 წლის ვარდობისთვის პირველივე დღეს „ლივერპულთან“ დასვა.

„ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ“ – „ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ“ 3:0
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲐᲘᲛᲘ 1:0

გოლები: სუარესი, მესი – 2.

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ნაადრევ ფინალად შერაცხილი ნახევარფინალისტთა წყვილის მონაწილეები იანვრის შემდეგ დაუმარცხებლად თამაშობდნენ როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო სარბიელზე, რაც ინტრიგას მატებდა მათ ისედაც ძალიან საინტერესო ბრძოლას.

მართალია, მათი მეტოქეობით აქამდე გამართულ 8 მატჩში მცირე უპირატესობას იურგენ კლოპის შეგირდები ფლობდნენ – 3-3 მოგება – ფრე და 2 წაგება, მაგრამ ფავორიტის გამოცნობას ბევრი თავს არიდებდა.

იყო კიდევ ერთი შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც ყველა ხაზს უსვამდა – მასპინძელთა დუეტი სუარესისა და კოუტინიოს შემადგენლობით ხომ უახლოეს წარსულში „ენფილდზე“ გამოდიოდა.

სხვათა შორის, ურუგვაელს მიმდინარე სალიგო სეზონში საკმაოდ გაუჭიანურდა მშრალი შეხვედრების სერია და სიმბოლურია, რომ ნავსი მე-9 მატჩში ხორდი ალბას ასისტენტობით სწორედ თავისი ყოფილი პარტნიორების წინააღმდეგ გატეხა – 1:0, შესვენების შემდეგ კი აქტიურად მონაწილეობდა ანგარიშის გაზრდაში, როცა მის მიერ მუხლით დარტყმულ და ძელიდან ასხლეტილ ბურთს ლეო მესიმ ბეკერის კარის ბადეში უპრობლემოდ მიუჩინა ადგილი – 2:0.

სხვათა შორის, ამ ეპიზოდამდე მერსისაიდელები ასე თუ ისე წარმატებით უმკლავდებოდნენ სამხრეთამერიკელ ჯადოქარს, რაც უპირველესად მატიპისა და დაცვის ბურჯ ვან დაიკის დამსახურება გახლდათ, რომელიც ახლახან პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და, ბუნებრივია, რომ „ოქროს ბურთის“ მოპოვებაზეც ექნება ამბიცია.

აი, თამაშის დასკვნითი აკორდი კი ჯუჯა „ცაციას“ ბენეფისად იქცა, რომელმაც საბოლოოდ აიწყვიტა და მანამდე ტოლსწორად მებრძოლ ბრიტანელთა რბევა ფილიგრანულად შესრულებული საჯარიმოთი დააგვირგვინა – 3:0, სულ კი მხოლოდ ინგლისურ კლუბებთან გამართულ 33 მატჩში მას 26 გოლი დაუგროვდა.

დავძენთ, რომ „ბარსელონამ“ პირველად დაამარცხა „ლივერპული“ საკუთარ მინდორზე – აქამდე საწადელს მხოლოდ ფეხბურთის სამშობლოში აღწევდა.

თითქოს, სოლიდური ჰანდიკაპი საპასუხო რაუნდს ფორმალურად ქცევის საშიშროებას უქმნის, მაგრამ ეს ერთი შეხედვით – მაგალითად ერნესტო ვალვერდეს ბიჭების შარშანდელი კონფუზი გავიხსენოთ „რომასთან“, როცა სწორედ 3-ბურთიანი უპირატესობა გაანიავეს, ან თუნდაც ასე ძლევამოსილად დასრულებული ბრძოლის საწყისი 70 წუთი, რომელშიც მოვლენები მერსისაიდელთა სცენარის შესაბამისად ვითარდებოდა.

მოკლედ, მესის გენიის მიუხედავად, ომი გრძელდება და გამარჯვებული 7 მაისს გამოვლინდება.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-აზერბაიჯანის ხელბურთელ ქალთა ჩემპიონატის ბოლო ტურში თბილისის „ოლიმპიამ“ 31:14 დაამარცხა ბაქოს „განჯლარ ბირლიი“ და შეჯიბრება მეოთხე ადგილზე დაასრულა.

ორი ქვეყნის ერთობლივი ჩემპიონატი ამ სეზონში პირველად გაიმართა 5 აზერბაიჯანული და ერთი ქართული გუნდის მონაწილეობით. ჩვენს მეზობელ ქვეყანას ქალთა ხელბურთში დიდი ტრადიციები აქვს და ამჟამადაც ჰყავს 3 ძლიერი კლუბი, რომლებშიც ბევრი უცხოელი თამაშობს - რუსები, უკრაინელები, ბელარუსები, მაკედონიელები...

„ᲝᲚᲘᲛᲞᲘ“ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲚᲐ

„ოლიმპია“ სპეციალურად ამ ტურნირზე სათამაშოდ შეიქმნა და საქართველოს სხვადასხვა ნაკრებების ხელბურთელებით დაკომპლექტდა. ძირითად ბირთვს შეადგენდნენ 17-წლამდელთა ნაკრების გოგონები, რომლებსაც 3-10 აგვისტოს თბილისში თანატოლთა ევროპის ჩემპიონატი აქვთ სათამაშო. გარდა ამისა, ჩვენს 19-წლამდელთა გუნდს 13-21 ივლისს კლაიპედაში (ლიეტუვა) აქვს ევროპის ჩემპიონატი. „ოლიმპია“ სწორედ ამ ორი ნაკრების მოთამაშეებისგან შედგებოდა და დამატებული ჰყავდა ეროვნული გუნდის სამი წევრი, რომლებიც 20 წლისანი არიან.

„ოლიმპიამ“სამივე თამაში მოუგო აზერბაიჯანის გოგონათა ნაკრებს, რომელიც ტურნირზე „განჯლარ ბირლიის“ სახელით გამოდიოდა, თანაბრად გაეყარა აზერბაიჯანის სპორტის აკადემიას (მოგება, ფრე, წაგება), ფავორიტებთან – „აზეროილთან“, „აზერსუსთან“ და „ყარაბაღთან“ კი დამარცხდა, თუმცა, დიდი პრაქტიკა მიიღო ასაკით უფროსი და ძალიან გამოცდილი ქალთა გუნდების წინააღმდეგ თამაშით.

ᲑᲔᲭᲐᲜ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲐ

ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ᲛᲝᲮᲓᲐ ის, რისიც საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალის ორგანიზატორებს ყველაზე უფრო ეშინოდათ – ერთ-ერთ ნახევარფინალში ერთმანეთს სტამბოლური კლუბები „ფენერბახჩე“ და „ეფეს პილსენი“ შეხვდებიან, ეს კი, დაგვეთანხმებით, მინიტურნირის მასპინძელ ბასკეთის დედაქალაქ ვიტორიას ინფრასტრუქტურას, მათ შორის კოპწია სპორტის სასახლეს სერიოზულ „შელამაზებას“ უქადის – თურქი ქომაგები ხომ მოჭარბებული ემოციებით გამოირჩევიან, მით უმეტეს მაშინ, როცა ტრიბუნებზე ორ ბანაკად გაყოფილნი არც ერთმანეთს ზოგავენ და არც მეტოქეს.

ელიტურ კვარტეტში უკანასკნელმა „ეფესმა“ მას შემდეგ შეაბიჯა, რაც 5 მატჩამდე გაჭიანურებული საპლეიოფო სერიის დასკვნით შეხვედრაში საკუთარ სარბიელზე „ბარსელონას“ 80:71 სძლია (საერთო ანგარიში 3:2).

სტუმრები მხოლოდ საწყის პერიოდში გამოიყურებოდნენ ღირსეულად, რომელიც 28:23 მოიგეს, შემდგომში კი უპირატესობას ბოსფორელები დაეუფლნენ და თამაშის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვიათ.

მასპინძელთა გამარჯვებაში სოლიდური წვლილი ლარკინმა და მოერმანმა შეიტანეს – 18-18 ქულა.

შეგახსენებთ, რომ მეორე წყვილი კონტინენტის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდებმა – მადრიდის „რეალმა“ და ცსკა-მ შეადგინეს.

ნახევარფინალები 17 მაისს მოეწყობა, ხოლო სატიტულო დუელი – 19 მაისს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ

ᲨᲐᲠᲝ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲮᲐᲠ...

ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲚᲝᲒᲛᲐ ხუან ანტონიო კორბალანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „პორტუს“ მეკარე იკერ კასილიასი, რომელმაც 1 მაისს მიკროინფარქტი გადაიტანა, იძულებული იქნება საფეხბურთო კარიერა დაასრულოს.

„არ შეიძლება ფეხბურთის თამაში, როცა კორონარული სტენტი გაქვს ჩაყენებული. იკერი ჩვეულებრივად გააგრძელებს ცხოვრებას, მაგრამ პროფესიონალი მოთამაშის კარიერასთან დამშვიდობება მოუწევს.“ – უთხრა კორბალანმა AS-ს.

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს დილით, „პორტუს“ ვარჯიშისას, კასილიასმა თავი შეუძლოდ იგრძნო. ის მაშინვე ქალაქის ერთ-ერთ ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც გულის ოპერაცია გაუკეთეს. ახლა მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ხსოვნა

ღმერთმა ისმინა მისი ვედრება

ხანგრძლივად ეს სოფელი არავის ახარებს და თაფლში ისე ურევს მწარე ნაღველს, რომ მართლაც მტრისას მისი გამოცანა. სიყვარულით შექმნილ ოჯახს ერთგულებით, წესიერებით და პატიოსნებით აშენებდა ჩემი და თამარი და მისი ძვირფასი მეუღლე ვალერი, მაგრამ... თამარის გარდაცვალების შემდეგ ჩემი სიძე ფრთამოტეხილი დარჩა, ყოველდღე მიდიოდა მეუღლის საფლავზე, ეფერებოდა მის გულზე დაყრილ მიწას და ევედრებოდა უფალს, თამართან მალე წაეყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ ვალერის დამხვდურ-მომხვდურებმა არაერთხელ ატკინეს გული, სიკვდილსაც ბევრჯერ ჩახედა თვალებში, სამურზაყანოს მამაპაპისეულ მიწას არ მოსწყდა, მერე კი რაღას დათმობდა, იქ მეუღლის საფლავი ეგულებოდა.

იმ ავადსახსენებელ დღესაც, ვინ იცის, მერამდენედ გაწმინდა საფლავის ქვა, მერამდენედ შესთხოვა გამჩენს სულის სიმშვიდე, რომელიც ვერსად იპოვა თამარის შემდეგ. თავი შეუძლოდ იგრძნო, ცოტას დავისვენებო, და მძახლებთან ავიდა და...აღესრულა, უჩუმრად წავიდა საყვარელ მეუღლესთან. ახლა ისინი ერთად არიან, დაისვენა მისმა მბორგავმა სულმა.

აღდგომა დილას აფხაზეთიდან ძმამ დამირეკა, საფლავზე ვიყავიო, მე ამის უფლებაც წართმეული მაქვს უგუნურთა გამო. ულმობელია წუთისოფელი, ტკივილსა და ხსოვნას გიტოვებს, არავინ უწყის, სამწუხაროა ეს თუ სანუგეშო!

გამოღმა დარჩენილები სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ, მშვიდად განისვენეთ ჩემო დაო და ძმაო, ნათელში იყოს თქვენი ტკბილი სული.

ჯემალ გაბელია

მეუფე იობი: იმდენად დიდ საშიშროებას ქმნიან, რომ შეიძლება ეს გადაიზარდოს რელიგიურ კონფლიქტში!

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის 18-ვე ტაძარში გუშინ ერთდროულად წირვა-ლოცვა აღევლინა. სასულიერო პირების მრავალრიცხოვანი დელეგაცია იქ რუის-ურბნისის მიტროპოლიტის, მეუფე იობის თაოსნობით ჩავიდა. მეუფე იობმა სასულიერო პირებს კონკრეტული ქმედებებისკენ მოუწოდა.

„დღეს ისეთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, რომ ამ წმინდა მოწამეთა სისხლით გაჟღენთილ მთას და გამოქვაბულებს გვართმევენ. წართმევა უნდათ, მაგრამ გააზრებულიც კი არა აქვთ, რას აკეთებენ, წარმოდგენაც კი არა აქვთ. ისინი არ უყურებენ მათ თანამემამულეებს, თითქმის ნახევარი მილიონია საქართველოში, არ უყურებენ ჩვენს დამოკიდებულებას, ურთიერთობას სახელმწიფოებს შორის. ყველაზე მთავარი — ათი ეკონომიკის ერთ-ერთი ძარღვი გაზი და ნავთობი გადის ჩვენს ქვეყანაზე.

ბევრ რამეს არ უყურებენ, განსაკუთრებით იმას, რომ იმდენად დიდ საშიშროებას ქმნიან, რომ შეიძლება ეს გადაიზარდოს რელიგიურ კონფლიქტში, რაც არის ყოვლად დაუშვებელი. ეს არ იქნება დროებითი კონფლიქტი, ეს იქნება მუდმივი კონფლიქტი. ჩემი აზრით, ამას ვიღაცა მართავს. ეს არც აზერბაიჯანის მხარეს არ აწყობს, არც საქართველოს მხარეს არ აწყობს. საქართველოსია ის, მაგრამ აქ დავით გარეჯას არანაირი პრობლემა არ ექმნება, მათ არ აქვთ პრეტენზია დავით გარეჯის მონასტერზე, აქ საუბარია მთელ კომპლექსზე, ეს არის ბერობის აკვანი,“ — განაცხადა მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა, მეუფე იობმა (აქი-აშვილი).



არდავიწყება

ღირსეული გენერალი – გურამ გვეტაძე

გურამ გვეტაძემ ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო. საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, გენერალ-ლეიტენანტი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის, ღირსებისა და სხვა მრავალი ორდენისა და მედლის მფლობელი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი — ეს მცირე ჩამონათვალია იმ წოდებებისა, რომელიც გურამ გვეტაძეს სახელს უკავშირდება. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა სულით ახალგაზრდა ენთუზიასტად, რომელიც, მიუხედავად ასაკისა, ყოველთვის გულისყურით ადევნებდა თვალს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესს. გენერალი თვლიდა, რომ სიბერე პირობითია, იგი სიცოცხლის მეორე ნაწილია, რომელსაც ისევე უნდა ებრძოლო, როგორც ყოველდღიურად — ცხოვრებას. ხშირად ხუმრობდა კიდეც — სიბერეს ვებრძვი წიგნებით, მეგობრებით, საზოგადოებრივი საქმიანობის კეთებითო... მისი გზა რთული და წინააღმდეგობით იყო აღსავსე. ასეთ გზაზე მავალთა გამოცდილება ყოველთვის იმ მნიშვნელობითაა დატვირთული, რომლის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის მომავალზე ფიქრი.

გურამ გვეტაძე სიცოცხლის ბოლომდე თავს მოვალედ მიიჩნევდა ქვეყნის წინაშე და საზოგადოებრივი საქმიანობით ცდილობდა ამის რეალიზებას. საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიისა და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრობაც მისთვის ის პასუხისმგებლობა იყო, რომლის მაღალი შეგნებით იცხოვრა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კრიმინოლოგიური პრობლემების კვლევას და კმაყოფილებით აღნიშნავდა პროფესიონალების ჩართვას ამ საქმეში. კრიმინოლოგია მისთვის იყო ინსტრუმენტი, რომლის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა მართლმსაჯულების, სამართლადამცავი და სპეციალური სამსახურების ეფექტური მუშაობა. ამის საილუსტრაციოდ, თავის წიგნში „გენერლის მოგონებათა ზარდახშა“ მას არაერთი თვალსაჩინო მაგალითი მოჰყავს პრაქტიკიდან. ავტორმა წიგნში გვერდი არ აუარა მისთვის არასასურველ მოვლენებსა და ფაქტებს, რადგან შესანიშნავად იცოდა, რომ ისტორია არასოდეს პატიობს ხელოვნურობას, ნიღაბს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ასეთი მემუარები მოკლებულია დამაჯერებლობას და ობიექტურობას“. ვფიქრობთ, ფასდაუდებელია გურამ გვეტაძის თვალით დანახული და შეფასებული „თვითმფრინავის ბიჭების“, „სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობის“, „აფრასიძეების ოჯახის“, „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაწვის“ და სხვა საქმეები.

უზარმაზარი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილების წყალობით, იგი ყოველთვის საინტერესო პერსონად რჩებოდა საზოგადოებისათვის. გურამ გვეტაძე აქტიურად თანამშრომლობდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მისი მოსაზრებები ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით, აქტუალური და ყურადსაღები გახლდათ. შეუძლებელია, არ აღინიშნოს მისი განსაკუთრებული ზრუნვა ვეტერანების სოციალური და სამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად. მან, როგორც იმ დროისათვის საქართველოს ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, კარგად შეისწავლა ვეტერანებზე ზრუნვის ევროპული მოდელი, თუმცა ამის შემდგომ განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მისი იდეების სისრულეში მოყვანა შეაფერხა.

ბატონი გურამი თვლიდა, რომ ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია, არის რწმენა, ის წინ უნდა გაიძღოლო და არასდროს დაკარგო. უნდა იყო მიზანდასახული, რათა საქმე მიიყვანო ბოლომდე, საწადელს მიაღწიო და გამოგივიდეს. ამის შედეგია, რომ დღეს ვერავინ გაიხსენებს გურამ გვეტაძის მიერ შუაგზაზე მიტოვებულ საქმეს ან პროფესიულ სისუსტეს. თანამედროვეთა მოგონებებში იგი ყოველთვის დარჩება ადამიანური ღირსების, ნებისყოფის, საქმისადმი ერთგულების მაგალითად. გენერლის მოსაზრებები შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის შესახებ ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის მართვის გამჭვირვალე სტილი, ურთიერთობა საზოგადოებასთან და განსაკუთრებით, ინტელეგენციასთან. ასევე დარგის გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტების ჩართვა სამინისტროს მუშაობაში. სწორედ ამ პრიორიტეტების წყალობით, გურამ გვეტაძე იყო კარგი ხელმძღვანელი, რომელსაც ეფექტურად შეეძლო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, კრიზისული სიტუაციების მართვა, გუნდური მუშაობა და საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულება.

გურამ გვეტაძე განიცდიდა თაობათა შორის ხელოვნურად გაჩენილ უფსკრულს. გულდაწყვეტილი აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, როგორც ჩანს, ავიწყდებათ, საიდან მოდიან. იგი ისტორიულ უსამართლობად მიიჩნევდა წარსულის ხელაღებით უგულებელყოფის ტენდენციას ქართულ პოლიტიკაში და მოუწოდებდა ახალგაზრდებს, პატივი მიეგოთ უფროსი თაობის გამოცდილებისა და დამსახურებისათვის სამშობლოს წინაშე.

ბატონი გურამი განსაკუთრებულად ემზადებოდა ორი მნიშვნელოვანი თარიღის — ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაარსების 100 წლის იუბილის ღირსეულად აღსანიშნავად და ამასთან დაკავშირებით სპეციალური კონფერენციის ჩატარებასაც გეგმავდა, რასაც მიუძღვნა კიდეც გაზეთ „იმედის“ სპეციალური ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა პოლიციის ვეტერანებისა და მეცნიერების მიერ მომზადებული საკონფერენციო ნაშრომები. თუმცა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, იუბილეს აღნიშვნა განუხორციელებელი დარჩა, რაც მძიმედ განიცადა.. მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ოპტიმისტად და არასდროს დაუკარგავს რწმენა იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო ეროვნული იდეის ქვეშ გამთლიანდება და განმტკიცდება.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის სახელით, პროფესორი
მალხაზ ბაძაღუა

დააკავეს საქართველოს 2 მოქალაქე

სერბეთში ქალაქ უჟიცეს პოლიციამ ქურდობის ბრალდებით საქართველოს 2 მოქალაქე დაკავა.სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით დაკავებულები ბინების გაქურდვაში არიან ეჭვმიტანილები. ისინი სახლებში შესასვლელად კარს სპეციალური იარაღებით აღებდნენ და ოქროულობას, ფულსა და ტექნიკას იპარავდნენ. ჩხრეკისას ამოღებულია პისტოლეტი, მოპარული ნივთები. ეჭვმიტანილები წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ჩიქობავას ქ. №42/5.
599 79-76-79; 568 82-09-84

ერთად ვიზეიმოთ ფაშიზმზე გამარჯვება!

მიმართვა

საქართველოს ყველა მოქალაქეს, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, ჩვენს სახელოვან ომისა და შრომის ვეტერანებს, ახალგაზრდობას, რომლებიც აქტიურად მეხმაურებიან ფეისბუქზე, ბეჭდვურ თუ ელექტრონულ მედიაში, მივმართავ კომუნისტური პარტიის ნამდვილ წევრებს და იმათ, ვინც ნანობს პარტიული ბილეთისა და მისი აქტიური ცხოვრების ნაწილის სანაგვეზე გადაგდებას; მივმართავ ჩემს ძვირფას სტალინელებს: **2019 წლის 6 მაისს, 15:00 საათზე,** რუსთაველის აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში გიწვევთ შეხვედრაზე, სადაც ბევრ ახალ ამბავს და ბევრ უცნობ დოკუმენტურ კინოკადრს ნახავთ სტალინზე, მის ძველ თუ ახალ ცხოვრებაზე.

მოვუწოდებ მედიას (ოპოზიციურს თუ პოზიციურს), მობრძანდეს თეატრში და თვალყური მიადევნოს იმ კონტრასტებს, რომელთა არათუ კონტურებს იხილავს, ფაქტის წინაშეც კი დადგება საზოგადოება.

საუბარი იქნება იმაზედაც, თუ „პეტრე პირველის ევროპისკენ გაღებული ფანჯარა როგორ მიხურა თავის დროზე გენიოსმა მწერალმა დოსტოევსკიმ“.

მოდით, ერთად ვიზეიმოთ ფაშიზმზე გამარჯვება და ერთად დავგმოთ მისი აღორძინება!

გრიგოლ ონიანი

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

როგორ ამოდის და ჩადის მზე მარსზე?



მარსმავალ InSight-ის „რობოტულმა ხელმა“ მარსზე მზის დაისისა და აისის ფოტოები, 24 და 25 აპრილს გადაიღო. ფოტოები, მარსის დროით დილის 5:30-სა და საღამოს 6:30 წუთზეა გადაღებული.

InSight-მა მზის ამოსვლისას მარსის ცაზე ღრუბლების მოძრაობაც გადაიღო.

ტრადიციად იქცა მარსზე მზის ჩასვლისა და ამოსვლის ამსახველი ფოტოების გადაღება — განაცხადა ჯასტინ მაკიმ, NASA-ს Jet Propulsion Laboratory-ის ფოტო და ვიზულური ინჟინერიის ხელმძღვანელმა.

პირველი მისია, რა დროსაც ვიკინგ 1-მა მარსზე მზის ამოსვლის ამსახველი ფოტო გადაიღო, 1976 წლის 21 აგვისტოს დაფიქსირდა. შემდგომ, მსგავსი შინაარსის ფოტოები, 1978 წელს ვიკინგ 2-მა, 2008 წელს სპირტმა, მარსმავალმა ოფორთუნითმა და კურიოსტმაც გადაიღეს.

ლეონარდო და ვინჩის უცნობი პორტრეტი

უინძორის სასახლეში იპოვეს წვერმოშვებული მამაკაცის ნახატი. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეს აღორძინების ეპოქის ლეგენდარული მხატვრის ლეონარდო და ვინჩის მეორე პორტრეტია.

ნახატი სამეფო კოლექციის გრავიურებისა და ნახატების განყოფილების უფროსმა მარტინ კლეიტონმა აღმოაჩინა, როდესაც უინძორის სასახლეში საბუთებს სწავლობდა. მან გაარკვია, რომ პორტრეტი ლეონარდო და ვინჩის მოსწავლემ მხატვრის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1519 წელს შექმნა. პორტრეტზე ლეონარდო და ვინჩი 67 წლისაა.

ნახატს საზოგადოების წინაშე ბუკინგემის სასახლეში გამოიტანენ.

მხატვრის კიდევ ერთი პორტრეტი, რომელიც აქამდე ერთადერთი იყო, შექმნილია დაახლოებით იმავე პერიოდში ფრანჩესკო მელცის მიერ, რომელიც ასევე და ვინჩის მოსწავლე იყო. შეგახსენებთ, რომ 2 მაისს ლეონარდო და ვინჩის გარდაცვლებიდან 500 წელი გავიდა.

თან მცველი, თან ცოლი და თანაც დედოფალი

ტაილანდის მეფემ მაჰა ვაჯირალონგკორნმა პირადი დაცვის სამსახურის უფროსზე იქორწინა და დედოფლის სტატუსი მიანიჭა. დედოფლის კორონაციის ცერემონიაში თავად მონარქი ასრულებდა სარიტუალო აქტს.

ტაილანდის მეფეს 3 ყოფილი მეუღლე და 7 შვილი ჰყავს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, 66 წლის მონარქსა და მისი პირადი დაცვის სამსახურის უფროსს შორის სასიყვარულო რომანი უკვე მრავალი წელია, გრძელდება. მეფის გადაწყვეტილება მოსახლეობისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. პირადი დაცვის უფროსს სუტიდა ტიდჯაის, დედოფალ სუტიდას ტიტული და სამეფო ოჯახის წევრობის სტატუსი თავად მონარქმა მიანიჭა.

2014 წელს სუტიდა ტიდჯაი ტაილანდის ავიახაზებში, მონარქის პირადი დაცვის სამსახურის უფროსის პოზიციას იკავებდა. მოგვიანებით, 2016 წელს მონარქის დახმარებით, სუტიდა ტიდჯაიმ გენერლის წოდება მიიღო.

მაჰა ვაჯირალონგკორნი ტაილანდის კონსტიტუციური მონარქი 2016 წლიდან, მამის ბჰუმიბოლ ადულიადეჯის გარდაცვლების შემდეგ გახდა. წინა მონარქის მმართველობა 70 წელს გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ისტორიაში ბჰუმიბოლ ადულიადეჯის მმართველობა ყველაზე ხანგრძლივია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7044; ევრო - 3.0392;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5344;
100 რუბლი - 4.1854; თურქული ლირა - 0.4533;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5915;
1000 სომხური დრამი - 5.6289.

ამინდი 3 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+14,	დღე	+26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge